# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 19 აგვისტო 2003 №154 (1925) | ფასი 50 თეთრი


# შვიდობას გაუმარჯოს!

## დინამოს არ ჩაეთვალა



თემურ მახარაძე სატურნირო ვითარებას ზემოდან დაჰყურებს



კაი ახლა, ჩემო ჯუნგლი: სოსო ფრუიძე და გია ტყებუჩავა



დინამოელების გატანილი, არჩათვლილი და გასაწევ-გამოსაწევი გოლი




გიორგი ყიფიანმა „ტორპედოს“ ძალა შემატა



ქუთაისი. 18 აგვისტო. 18 საათი. „ტორპედო“. 3 000 (ტევადობა 19 600)

## ტორპედო 1:0 კოლხეთი

1:0 ხვადაგიანი (18)

ტორპედო: სტურუა, ლ. ქელიძე, თოდუა, ხვადაგიანი, მახვილაძე, გამეზარდაშვილი, ბაბუნაშვილი, ახალკაცი (წურგაძე 63), ყიფიანი, ზ. ქუთათელაძე (ლილაძე 90), მუშკუდიანი (კვერნაძე 84)
*სათადარიგონი:* რევიშვილი, დარსაძე, გოგოლაძე
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

კოლხეთი: ბათიაშვილი, ქუტიძე (შალამბერიძე 46), მინდაძე, შ. ლონდაძე, სვანიძე, ზ. ქობულაძე, აკობია, თავაძე, გოგუა, ტულუში (ლილანიძე 69), გოდერძიშვილი (ტყებუჩავა 46)
*სათადარიგონი:* ჩემია, მარგველიშვილი, მელანია, ნარსია
მწვრთნელი: გია ტყებუჩავა

გაფრთხილება: ყიფიანი (7), ქელიძე (60), აკობია (73)

მსაჯები: ჯ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ნ. ცირდავა (გულრიფში); ლ. [illegible] (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: გ. [illegible]

ჯარიმა: 16-13; კუთხური: 7-5; კარისკენ დარტყმა: 6-6; კარში დარტყმა: 6-5; თამაშგარე: 3-2

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
15

# 4 ტური



ქუთაისელთა ახალშემატებულმა გიორგი ყიფიანმა ფოთელებს გვარიანი თავსატეხი გაუჩინა

# გაფრენა არის ძალიან ძნელი

## კოლხეთმა ქუთაისის ტორპედო დაანახა

**კახა შალამბერიძე** ქუთაისიდან

„შარშანწინდელის“ რა გითხრათ, მაგრამ შარშანდელი კი მართლა კარგად ხსომებიათ ქუთათურებს. წინა სეზონში წყალტუბოში (მაშინ, ტორპედოს სტადიონი დისკვალიფიცირებული იყო), ნასტუმრებმა უამბიციო „კოლხეთმა“ პაერივით საჭირო 2 ქულა დააკარგვინა საჩემპიონოდ შემართულ „ტორპედოს“. იმ ორ ქულას ქუთაისელი გულშემატკივარი დღემდე დანანებით მისტირის — სხვანაირად ჩემპიონობას ვინ წაგვართმევდაო.

გუშინ კი ერთმანეთის პირისპირ იგივე მეტოქეები შეხვდნენ ერთმანეთს განსხვავებული ხასიათით. სატურნირო ცხრილის სათავეში ყოფნამ ისე გაახალისა, კოლხები რომ ქუთაისს მოგების იმედით ესტუმრა. სიმართლე ითქვას, ეს ჩემპიონატი ფოთელებმა მართლაც კარგად დაიწყეს. ალბათ, თავადაც არ ახსოვთ, როდის მიითვალეს საწყის სამ ტურში შვიდი ქულა. ნალანსარი „ტორპედო“ კი ჯერაც პრობლემების ზღვაშია ჩაფლული. შემადგენლობა შესუსტებული ქუთათურები უიღბლობასაც უჩივიან. აბა, წინა ტურში „სპარტაკთან“ ვერ მოგება როგორ შეიძლებოდაო, ხშირად გაიგონებდით გუშინ „ტორპედოზე“.



ქუთაისელი ზვიად ქუთათელაძის ამ წაქცევას პენალტი და „კოლხეთის“ კარში გოლი მოჰყვა



... მაგრამ „ტორპედოს“ ერთ რამეში მაინც გაუმართლა — გუნდმა ყიფიანი გადაიბირა, შეიძლება ითქვას, გუშინდელ თამაშში ყოფილი ვეტერინარის ჭკვიანურმა პასებმა არაერთხელ დასერა კოლხთა დაცვა.

გოლი მასპინძლებმა მე-18 წუთზე გაიტანეს. მეკარესთან პირისპირ შეყრილმა ზვიად ქუთათელაძემ ყველაფერი ზუსტად შეასრულა. ბათიაშვილს წააქცევინა და ტორპედოელებმაც პენალტი შეირგეს. ვახტანგ ხვადაგიანმა ამ სეზონში მეორედ იხეირა თერთმეტმეტრიანით.

„ტორპედომ“ ტემპი გაზარდა და მეტოქეს კიდევ უფრო მიაწვა, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მერე კი გუნდები მოედნის ცენტრში შეასკდნენ ერთმანეთს და ტაიმიც ასე ჩამთავრდა. ქუთათურებს მხოლოდ ერთი საგოლე შანსი ჰქონდათ, როცა შოთა ბაბუნაშვილს ზურაბ ბათიაშვილმა აუღო ურთულესი დარტყმული.

მეორე ნახევრის დაწყებიდან ათიოდ წუთში მოედანზე „კოლხეთი“ გაბატონდა. დაღლილი მასპინძლები საკუთარ ნახევარზე გამაგრდნენ და იქიდან ცდილობდნენ მეტოქისთვის კბენას. ამასობაში კოლხებმა სტურუას კარისკენ დარტყმებს უხშირეს და „ტორპედოს“ მეკარეც საქმეში ჩაერთო. ყველაზე მეტად მას ნერვებს შეცვლაზე შესული ზაველ ღლანიძე უშლიდა.

ანგარიშის გათანაბრება გია ტყებუჩავას შეგირდებს მაინც შეეძლოთ. სტურუას მიერ უხეიროდ მოგერიებულ ბურთს სვანაძემ დაამატა, მაგრამ მასპინძელთა კარის დარაჯმა საკუთარი შეცდომა თავგანწირული თამაშით გამოასწორა.

ეს იყო და ეს. „ტორპედოს“ თითქოს კიდევ შეეძლო „კოლხეთის“ საბოლოოდ მოგუდვა, მაგრამ ბოლო წუთებზე მოპოვებული უპირატესობით ვერ ისარგებლა. „ტორპედომ“ „კოლხეთზე“ ჯავრი იყარა. მაგრამ ამ თამაშით ვერ გავფრინდებითო, ამბობენ ქომაგები. მართლაც ძნელია...



ქუთაისურ ტრიბუნაზე ემოციები გახშირდა

ჩვენს კოლეგას, ჯემალ ჭიპაშვილს
ვულოცავთ შვილიშვილის დაბადებას

*სარბიელელები*

**ინგლისი**
II დივიზიონი. II ტური
ბრაიტონი 2:1 ქუინზ პარკი

**გერმანია**
II ბუნდესლიგა. III ტური
მაინცი 2:1 ნიურნბერგი

**ბელგია**
სუპერლიგა. II ტური
ლიერსი 0:0 ბეერსხოტი

**პორტუგალია**
სუპერლიგა. I ტური
გიმარაეში 1:0 ლეირია

**უკრაინა**
უმაღლესი ლიგა
დნიპრო 2:0 ილიჩევეცი

**ჩეხეთი**
უმაღლესი ლიგა
სპარტა 3:0 ბუდიოვიცე

**ისლანდია**
პრემიერდივიზიონი. XIV ტური
ფილკირი 1:5 თროტური

თბილისი. 17 აგვისტო. 18 საათი. ეროვნული. 500 (ტევადობა 70 900)

## დინამო 0:0 ვიტ ჯორჯია

**დინამო:** ზოიძე (გვარამაძე 46), კარლოსი, ბაბაიშვილი, ამისულაშვილი, ხიზანიშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია, ბურდული, ახალაია, მელქაძე (იაშვილი 66)
სათადარიგონი: კანდელაკი, წერეთელი, ხაზვაძე, ბობოხიძე, სამხარაძე
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კვახაძე, ინწკირველი, იმედაშვილი, დოლმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე (დათუნაიშვილი 61), დეკანოსიძე (ლ. მერებაშვილი 76), გველესიანი, მ. გოჩაშვილი (მარცვალაძე 55), გოცირიძე
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ფეიქრიშვილი, ზვ. ლაბაძე, გ. მერებაშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ბერიძე

**გაფრთხილება:** კარლოსი (70), მარცხვალაძე (76)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); დ. ხანაია (სოხუმი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ჯარიმა: 8-12; კარისკენ: 16-4; კარში: 8-2; კუთხური: 7-1; ოფსაიდი: 2-2

# ბომბი და მშვიდობა

**კობა ინასარიძე**

**დღეს** ჩვენი მიზანი იყო, არ წაგვეგო — თქვა ნამატჩევს „ვიტ ჯორჯიას" კმაყოფილმა მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემ — ნებისმიერი გუნდისთვის სტუმრად „დინამოსთან" ფრე დამაკმაყოფილებელი შედეგია.

კვირას „ეროვნულზე" ისეთი თამაში გაჩაღდა, მსაჯის ბოლო სასტვენამდე ქომაგს გოლის მოლოდინი ჰქონდა. „დინამომ" თავის აშკარა უპირატესობა, უამრავი ცდის მიუხედავად, ვერაფრით გამოიყენა, შიგადაშიგ კი „ვიტ ჯორჯია" გამოიღებდა ხოლმე ხელს და მასპინძლებს ისე შეუტევდა, გვარიანად ანერვიულებდა.

„დინამომ", გადაუჭარბებლად ითქმის, დაბომბა მეტოქის კარი და მერლანი წუთით არ მოასვენა, მაგრამ კარისკენ 16 სახიფათო დარტყმას, 8-ჯერ კარის ჩარჩოში მოხვედრილ ბურთს, გოლი არ მოჰყვა.

— მერლანი ბრწყინვალე იყო. მნიშვნელოვანწილად სწორედ მისი დამსახურებაა, მატჩი უგოლოდ რომ დამთავრდა. ვიმედოვნებ, ჩვენი მომავალი მეტოქეების მეკარეები მერლანივით ვერ იყოჩაღებენ — ბერიძისგან განსხვავებით, ივო შუშაკი იღბალზე ჩიოდა და უხასიათოდ იყო.



დინამოელი ოლეკო გოგობერიშვილის (№7) მცდელობას გოლი არ მოჰყოლია

არადა, მატჩი „ვიტ ჯორჯიას" შეტევებით დაიწყო და ჯერ გოჩაშვილს, შემდეგ კი დეკანოსიძეს ცოტა უკეთ რომ დაერტყათ, ეგებ გაეტანათ კიდეც. ორჯერვე ზოიძემ ივაჟკაცა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დეკანოსიძეს შორეულ კუთხეში დარტყმული ბურთი აუღო.

ეს იყო და, „დინამომ" თამაში დაიწყო. მელქაძეს ორჯერ შეეძლო, გაეტანა, მაგრამ ისეთი რეალური მომენტები გაუცუდდა, გეგონებოდათ, ყოფილი გუნდი დაინდოო. იგი ორჯერ ძალიან ახლოს იყო მიზანთან, ხეირიანად დარტყმა კი ვერ შეძლო. კარლოსის ჩაწოდებულს რომ აბოლოვებდა, ხელისშემშლელიც არავინ ჰყავდა. მელქაძის მომენტებს შუა, ახალაიასაც ჰქონდა საგოლე შანსი, მაგრამ იმ დღეს მართლაც ჩინებულად მოთამაშე მერლანს ვერ აჯობა.

შესვენების შემდეგ „დინამოს" უპირატესობა უფრო თვალში საცემი გახდა. მასპინძლებმა სტუმრები ცენტრის ხაზს არ გადააშორეს და გაშმაგებით უტევდნენ. „დინამო" მთელი მოედნის ბატონ-პატრონი იყო. გაამართლა ზურაბ ბერიძის ტაქტიკამ. „ვიტ ჯორჯიამ" თამაში ერთი ფორვარდით და ერთბაშად ექვსი შუახაზელით დაიწყო და სწორედ ამ ჰავბეკებს ერთი მოთამაშე მაინც რომ დაჰკლებოდა, ვფიქრობთ, „დინამოს" შეტევების მოგერიება სტუმრებს უფრო გაუჭირდებოდათ. მატჩის ბოლოსკენ ბერიძემ ნახევარმცველი მოხსნა და უკვე აშკარად დაცვაზე გადააწყო გუნდი. ბერიძის შეცვლა სწორი გამოდგა, დაცვა გააძლიერა და გუნდმა შეძლო სასურველი ანგარიშის შენარჩუნება. თუმც აქამდე „დინამომ" გოლის გატანა მაინც მოახერხა. მოახერხა, მაგრამ არბიტრის ასისტენტმა ჯვარიძემ ოფსაიდი დააფიქსირა, რასაც დინამოელთა პროტესტიც მოჰყვა. იყო გოლი თუ არა, ეს, ალბათ, გაირჩევა და ნაღდი სიტყვაც ითქმება. საგოლე თავურის გარდა კი აიკლო მეტოქე. ლამის ყოველი შეტევა მისი დარტყმით მთავრდებოდა, მაგრამ მერლანს ვერ სჯობნიდა. 55-ე წუთზე მერლანმა, რომ იტყვიან, „მკვდარი ბურთიც" კი მოიგერია, ოღონდ ახალაიას არა, გოგობერიშვილის დარტყმული. თავის მხრივ, „ვიტ ჯორჯიას" კონტრშეტევებიც სახიფათო იყო, მაგრამ საბოლოო დარტყმა არც სტუმრებისა ვარგოდა. დეკანოსიძეს ჰქონდა კარგი მომენტი, თუმც მერლანს არც გვარამაძე ჩამორჩა და ბურთიც მისი ნადავლი შეიქნა.

მოკლედ, ტურის ცენტრალური მატჩი ისეთი გამოდგა, როგორსაც ველოდით და როგორსაც ამ გუნდების მეტოქეობამ დაგვაჩვია, ეგაა, გოლი ვერ ენახეთ.

*ზურაბ ბერიძე,* „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი: „დინამო" კარგი გუნდია და მახარებს, რომ ასეთ ძლიერ მეტოქესთან ქულა მოვიპოვეთ. ეს იყო ჩვენი ჩანაფიქრი. ბიჭებს მადლობას ვეტყვი, მათ იბრძოლეს და ასეთი შედეგი დაიმსახურეს, მომავალში ერთი თავდამსხმელით თამაშს არ ვაპირებთ, დღეს ეს ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო. მატჩის ბოლოს დაცვა გავაძლიერეთ, „დინამომ" მაგრად შემოგვიტია და კართან ჩვენების სიმრავლე გახდა საჭირო. საერთოდ, ჩვენ მატჩისას რამდენჯერმე შევცვალეთ ტაქტიკა.

*ივო შუშაკი,* „დინამოს" მწვრთნელი: მაღალი დონის თამაში იყო. ჩემი ფეხბურთელები შეტევის დაბოლოვებისას კონცენტრაციას ჰკარგავდნენ და ვფიქრობ, ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა, გოლი რომ ვერ გავიტანეთ. ასეთი შედეგის მიუხედავად, ბიჭების მადლობელი ვარ. მადლობელი ვარ თქვენიც, რომ შენიშნეთ, დღეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ნამატჩევს მსაჯებისკენ არ გამიხედავს და ხელი არ ჩამომირთმევია.



არჩათვლილმა გოლმა დინამოელები ისე გააცეცხლა, არც მსაჯები დაინდეს და არც მსაჯთა უსტაბაში ანატოლი მილჩენკო





ზურაბ ბერიძე და ივო შუშაკი

*სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!*
*გთხოვთ, 22 აგვისტომდე წარმოადგინოთ საქართველოს პროფესიონალ ფეხბურთელთა ლიგის მატჩებზე დასწრების მსურველ ჟურნალისტთა სია*

პროფესიონალ ფეხბურთელთა ლიგის პრესსამსახური



მარტო სულიკო დავითაშვილი „მცხეთას" ვერ გასწვდა

# თქვენ სალობიეში ხომ არ გგონიათ თავი?!

**გიორგი ვაშაკიძე მცხეთიდან**

**წყვილში** ერთი შეხედვით ფავორიტად მიჩნეული „თბილისი" შაბათს „არმაზზე" დამარცხდა. ჯიგრიანად მებრძოლმა უმაღლესი ლიგის დებიუტანტებმა დამსახურებული სამი ქულა მიითვალეს, ზედიზედ მეორე საშინაო მატჩში მეორე თბილისური გუნდი (მანამდე „ლოკომოტივი" იყო) და მეორე ფავორიტი დააჩოქეს.

ჯერჯერობით სრულდება „მცხეთას" ვიცე-პრეზიდენტ ვიტალი გრძელიშვილის ნათქვამი, რომელმაც სეზონის დაწყების წინ „სარბიელთან" ინტერვიუში განაცხადა, რა თქმა უნდა, ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ვიბრძოლებთ, თუმც ჩვენთან ვერავინ გაისეირნებს, ფიცხელი და დაუნდობელი ბრძოლა მეტოქეებს „არმაზზე" ელითო.

ჰოდა, ამწარებენ მცხეთელები მეტოქეებს და მერე როგორ. ვინც შაბათს „არმაზზე" მისვლა არ დაიზარა, ნამდვილად არ წაუგია. მაყურებელმა ცოცხალი ფეხბურთი, ორივე გუნდის მეკარეთა ჩინებული თამაში და, რაღა თქმა უნდა, ფეხბურთის მშვენება — გოლები (თანაც ლამაზი) იხილა.

ახალგაზრდა მცხეთელები სახელიან თბილისელებს არ შეეპუვნენ, თავიდანვე მედგრად ეკვეთნენ მეტოქეს და უკვე 25-ე წუთისთვის „არმაზის" სახელდახელო ტაბლოზე 2:0 ეწერა. ორჯერვე ლაშა ჩხაიძემ გამოიჩინა თავი. ჯერ დასწრებაზე იმარჯვა, როცა ნაჭყეპიამ ლაშა ქებაძის ჯარიმიდან გასროლილი ვერ შეიმაგრა ხელში და უხერხულად მოგერიებულს დაამატა. მეორედ ჩხაიძემ „თბილისის" გამოცდილ მცველებს ჩაუდრიბლინგა, ცრუმოძრაობით ბოლო მეურვეც მოიტოვა და ჩაწოლილ ნაჭყეპიას დაბალი დარტყმით მახვილ კუთხეში გაუტანა.

ყველას გასაკვირად, ინერტულად მოთამაშე „თბილისი" ამანაც ვერ გამოაფხიზლა, თავდამსხმელი ლაშა ჯაკობია, ფაქტობრივად, ტყუილად იყო, არ ჩანდა. ნახევარმცველი თორნიკე აფციაური, რომელსაც გუნდის შეტევათა წარმართვა ევალება, პირველ ტაიმშივე ლორთქიფანიძემ ხოჯავათი შეცვალა. აფციაურმა თავი შეუძლოდ იგრძნო. როგორც მერე გაირკვა, აფციაური, ჯაკობია და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი თამაშამდე მოწამლულა და მათი სუსტი თამაშიც ამის ბრალი თუ იქნებოდა.

სტუმართა მწვრთნელმა მეორე ტაიმში ჯაკობიას ნაცვლად დავითაშვილი შეიყვანა. „აბრეზამაც" გაუმართლა, 47-ე წუთზე გოლი გაიტანა, თანაგუნდელებიც აიყოლია და ფეხბურთი გაჩაღდა, თქვენი მოწონებული.

„თბილისიც" მასპინძელთა კარს ძალუმად მიაწყდა, შეტევა შეტევაზე მიდიოდა ცინაძის კართან, მაგრამ რად გინდა, „მცხეთის" ცენტრალური მცველი გიორგი ქებაძე კედელივით აღმართულიყო. მასპინძელთა კაპიტანი უნარიანად და გონებამახვილურად თამაშობდა, თანაგუნდელები შეცდებოდნენ და ქებაძე აზღვევდა მათ.

„მცხეთამ" მესამე გოლი სწრაფად გათამაშებული კონტრშეტევისას გაიტანა, გოლი კაპიტან გიორგი ქებაძის ძმამ, ლაშამ შეაგდო.

სტუმრები ისევ დავითაშვილმა გამოაფხიზლა, „აბრეზა" ისე გაძვრა მასპინძელთა მცველ-ნახევარმცველებს შორის, ხელის შეშლა ვერავინ შეძლო. სულიკოსაც რა უნდოდა, კარიდან გამოვარდნილ ცინაძეს შორეულ კუთხეში იოლად გაუტანა — 3:2.

შეხვედრის ბოლოს „თბილისი" უტევდა, ცდილობდა, მატჩი გადაერჩინა, მაგრამ... შაბათს „არმაზზე" „მცხეთამ" კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა.

მცხეთა. 16 აგვისტო. 18 საათი. არმაზი. 1500 (ტევადობა 3000)

## მცხეთა 3:2 თბილისი

1:0, 2:0 ჩხაიძე (10, 25), 2:1 დავითაშვილი (47), 3:1 ლ. ქებაძე (59), 3:2 დავითაშვილი (84)

| მცხეთა | თბილისი |
| --- | --- |
| ცინაძე, ლ. ამბიძე (მგელაძე 81), გ. ქებაძე, ჯაფარიძე, რაქვიაშვილი, ლ. ქებაძე, ჩაჩუა, თირქია, ბ. ნოზაძე, ლ. ჩხაიძე (მელიქია 69), ჩილვინაძე | ნაჭყეპია, მეხი, სიდამონიძე, ხარებავა, გოგიტა გოგუა (გიორგი ნუგზარის ძე ქელიძე 18), დათვაძე, აფციაური (ხოჯავა 45), კვარაცხელია, გემუხაშვილი, ჯაკობია (დავითაშვილი 46), მიკუჩაძე |
| სათადარიგონი: თ. ოდიკაძე; მუშუქია, არეშიძე, კახნიაშვილი, სიდაშვილი | სათადარიგონი: ივარდავა; ნადირაშვილი, მემარნიშვილი, მიქიაშვილი |
| მწვრთნელი: ვლადიმერ ბაროვი | მწვრთნელი: თემურ ლორთქიფანიძე |

გაფრთხილება: რაქვიაშვილი (26), ჩილვინაძე (40), თირქია (74), მიკუჩაძე (90)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. ნონიკაშვილი; ი. კახიანი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; დირექტორი: დ. გოგია

ჯარიმა: 18-18; კუთხური: 4-6; კარისკენ დარტყმა: 4-6; კარში დარტყმა: 8-4; თამაშგარე: 10-3

გორი. 16 აგვისტო. 18 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 1200 (ტევადობა 7 000)

## დილა 2:1 მერცხალი

1:0 სულთანიშვილი (11), 2:0 კაიდარაშვილი (84), 2:1 ჭინჭარაული (90)

| დილა | მერცხალი |
| --- | --- |
| სოლოლაშვილი, ლ. გოზაშვილი, სეჭაბურიძე, ბალაშვილი, ლომიძე (მასურაშვილი 88), ლაცაბიძე, გ. ჩიტაია, ჯობაძე (რაზმაძე 71), სულთანიშვილი, ა. კაიდარაშვილი, ძოძუაშვილი | გ. გოგუა, კობაური, კვირკვია, გ. ილურიძე, მგალობლიშვილი, გრიგორიევი (მებონია 42), ჭინჭარაული, გ. წივწივაძე, კალანდაძე, ჭალიაშვილი, ხუჭუა |
| სათადარიგონი: თ. ილურიძე, მარღიშვილი, ხანიშვილი, გ. კაიდარაშვილი | სათადარიგონი: რობაძე, ასკურავა, მანჯგალაძე, რუხაძე, სიამაშვილი |
| მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი | მწვრთნელი: სერგო გაბელაია |

გაფრთხილება: სულთანიშვილი (89); გაძევება: ხუჭუა (84)

მსაჯები: მ. მასურაძე (თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ხეცაშვილი (დმანისი); ა. მეშველი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ბარქაია; დირექტორი: გ. კეტაშვილი

ჯარიმა: 20-15; კუთხური: 5-2; კარისკენ დარტყმა: 7-6; კარში დარტყმა: 7-1; თამაშგარე: 0-1

# რეკორდი

## შემაგინოს და გავაწითლებ

**ვაჟა ხუციშვილი გორიდან**

„**დილა**" ისეთივე შთამბეჭდავი ვერ იყო, როგორიც წინა საშინაო მატჩში „ვიტ ჯორჯიასთან", მაგრამ მორიგი სამი ქულა მიითვალა. მასპინძლებმა მეორე ტაიმის მიწურულს მეტოქის კართან საგოლე მომენტები დაახვავეს და ქომაგთა ნერვებიც შეამოწმეს. გულშემატკივარი იმიტომ ნერვიულობდა, რომ „დილას" დაცვაში ღრიჭოები გაჩნდა და შეხვედრის დასაწყისში სულთანიშვილის კინკილა გოლის გაქვითვა „მერცხალს" არაერთხელ შეეძლო. დრო რაც უფრო მიიწურებოდა, მით უფრო შფოთავდა გორელი მაყურებელი, არადა, თავიდან...

ზვიად ხორგუაშვილმა სათამაშოდ ნაცადი შემადგენლობა გაამწესა და ქართლელებმაც გულიანად შეუტიეს. სანამ სტუმართა მცველები დალაგდებოდნენ, ძოძუაშვილმა გოლის გატანის ხელსაყრელი მომენტი გაანიავა. კვირკვიამ საჯარიმოში ბურთი უშნოდ მოიგერია და გორელ ფორვარდს კარიდა შერჩა. ძოძუაშვილმა ზემოდან დაშვებულ ბურთს თავი უცნაურად ამოჰკრა და ისევ მაღლა გაუშვა.

მასპინძლებს მეტოქის შუახაზელთა გავლა არ უჭირდათ და ოზურგეთელთა სანახებში თავისუფლად დანავარდობდნენ. დილელთა განივად გადაადგილებას მალე საგოლე ჯარიმა მოჰყვა. სულთანიშვილმა ბალახს ბურთი სათავისოდ მოარგო და ოციოდ მეტრიდან მარჯვენა მაღალ კუთხეში შეაჭიკარტა.

სერგო გაბელაიამ ნახევარმცველთა გადაწყობის ხარჯზე სცადა მოედნის ცენტრში უპირატესობის მოპოვება. სანამ „მერცხალი" მოწესრიგდებოდა, ჯობაძემ და ჩიტაიამ თითო საგოლე შანსი ვერ გამოიყენეს, ძოძუაშვილმა და კაიდარაშვილმა კი კარის წინ ზედმეტი პასებით გადაამლაშეს. მერე ლაცაბიძემ მეკარის ცხვირწინ იბურთავა და ბოლოს აღლიდან გოგუას ფეხებში დაუმიზნა.

ამასობაში ოზურგეთელებმა მეტნაკლებად დაალაგეს თამაში და შეძლეს, ბურთი წინ ეულად მყოფ ხუჭუამდე მიეტანათ. ჯერ ხუჭუამ, შემდეგ კი ჭალიაშვილმა საჯარიმოს საპირისპირო კუთხეებიდან გაისროლეს სოლოლაშვილის კარისკენ, მაგრამ ორჯერვე ხარიხის ზემოთ.

სტუმართაგან კაპიტანი წივწივაძე გამოირჩეოდა და პასებით მომარაგებაც მან ითავა. საუკეთესო შანსი „მერცხალს" ტაიმის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ჰქონდა. წივწივაძემ მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში შეჭრილ კალანდაძეს მეკარელა შეატოვა, მაგრამ კალანდაძე სწორ ადგილზე მოულოდნელად წაიქცა.

სერგო გაბელაია შესვენებას არ დაელოდა და შესუსტებული ცენტრის გაძლიერება პირველი ტაიმის მიწურულსვე სცადა — გრიგორევის ნაცვლად მებონია შეუშვა და ამ ცვლილებამ გაამართლა.

მეორე ნახევარი გორელებმა მარტივი, დამუშავებული კომბინაციით დაიწყეს. კაიდარაშვილმა ცენტრიდან მარცხენა ფრთაზე სვლააკრეფილ სულთანიშვილს მიაწოდა, რომელმაც მცველსაც გაასწრო, საჯარიმოშიც შეენთო, მაგრამ ზუსტად დარტყმა ვერ შეძლო.

ამის შემდეგ „მერცხალმა" ფრთების ტყლაშუნს უმატა და მებონიამ ორი ისეთი პასი გაუჩარხა თანაგუნდელებს, რომ მათ გატანა მართებდათ. პირველად ჭალიაშვილმა მიაფუჩეჩა, მეორედ კი ხუჭუამ.

დროდადრო „დილას" მცველები სრულიად უწყინარ ვითარებაში ცდებოდნენ და ეს მეტოქეს რომ შეერგო, ეგებ შინ სამქულიანიც კი წასულიყო.

კვლავ ხუჭუა აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, თითქმის პირისპირ მეკარესთან, თუმც კვლავ ვერ ივარგა „მერცხალის" ფორვარდმა.

მერე მასპინძელმა რაზმაძემ ლაცაბიძეს მიჰბაძა და იმდენ ხანს იბურთავა უმიზეზოდ, სანამ მომენტი არ დალუპა.

გორელთა დაცვის მოდუნებამ ხორგუაშვილიც ააფორიაქა. ოზურგეთელები გათამამდნენ და ბურთს უკვე თავისუფლად აგორებდნენ მასპინძელთა საჯარიმოსთან.

სტუმრებმა გათანაბრება მოიწადინეს და დიდი ძალებით მიაწყდნენ მეტოქის კარს. დაცვამოშიშვლებულ „მერცხალს" დამხვდურთა რამდენიმე იერიში გამოეპარა, მაგრამ „დილამ" ვერ იხეირა. სწორედ ამან გაანაწყენა ქართლელი ქომაგები.

შეხვედრის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე მოულოდნელი ხუჭუა წითელი ბარათის ძალით მინდვრიდან მიაბრძანეს. გასახდელისკენ მიმავალი ფეხბურთელი ხმამაღლა აპროტესტებდა, მსაჯისთვის არ მიგინებია, რატომ გამაგდეს, ვერ გავიგეო. ხუჭუას გაძევება იყო და, კაიდარაშვილმა გულშემატკივართა დასამშვიდებელი გოლი გაიტანა. საჯარიმოში ეულად დარჩენილი მეკარესაც გასცდა და მახვილი კუთხიდან შეაგდო.

სიხარულით მოდუნებულმა გორელებმა ერთი მაინც გაუშვეს. კარის წინ უყურადღებოდ მიტოვებულმა ჭინჭარაულმა წაქცეულ მცველს ბურთი წაჰგვარა და ორიოდ მეტრიდან ზუსტად დაჰკრა.

მატჩის შემდეგ ინდსაწარმო „ლიახვის" პატრონის ჯემალ წიკლაურის დაწესებული პრიზები, ორი ჩინური ვაზა, საუკეთესოდ მიჩნეულ ფეხბურთელებს გადასცეს. მასპინძელთაგან ლაცაბიძეს, სტუმართაგან კი მჟავანაძეს.



გოჩა ჯანაშია ფოთიდან

# ბათუმი ბითუმად
## ლოკომოტივმა ბულვარში გაისეირნა

ბათუმი. 16 აგვისტო. 18 საათი. ცენტრალური. 2000 (ტევადობა 6000)

### ბათუმი 1:3 ლოკომოტივი

0:1 გეგეშიძე (14 ა.გ.), 0:2 სოსელია (47), 1:2 კაკალაძე (49), 1:3 სირაძე (55)

ბათუმი: ქვარხავა, მახარაძე, გეგეშიძე, დუმბაძე, გუშარაშვილი, მანჩხავა, ქოქიარაძე, კობიძე (რომანაძე 60), დარჩიძე (ბესიკ თედორაძე 79), კაკალაძე, ფარცხალაძე (ფარცხალაძე 46) სათადარიგონი: ი. ბოლაძე, ბეჟანიძე, ნემსაძე, მ. სალუქვაძე მწვრთნელი: გ. ხხარტიშვილი

ლოკომოტივი: ლომაია, ვაშაკიძე, ქუთათელაძე, რ. ონიანი, სიჭინავა, თ. ბურნაძე (გოგინაშვილი 74), მანჯგავა, სოსელია (კობახიძე 66), ქოქიაშვილი (ორბელაძე 78), სირაძე, გ. მიქაძე სათადარიგონი: გრიშიკაშვილი, უგრეხელიძე, ხუბუტია, ფლენტი მწვრთნელი: რ. არველაძე

გაფრთხილება: დუმბაძე (13), სიჭინავა (30), ბურნაძე (58), მიქაძე (83), მახარაძე (83)

მსაჯები: ა. შალამბერიძე; ჯ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში; დირიჟორი: რ. შოთაძე

ჯარიმა: 19-20; კუთხური: 2-4; კარისკენ დარტყმა: 1-3; კარში დარტყმა: 1-5; თამაშგარე: 1-0

ოთხიდან ოთხი მარცხით დაიწყო „ბათუმმა" სეზონი და ისე ჩანს, რომ გავარდნის უპირველესი კანდიდატი იქნება. ერთიცაა, ზღვისპირელთა თამაშში არ ჩანს ის მარცვალი, რომელიც სამერმისო პერსპექტივის საწინდარი უნდა გახდეს.

„ლოკომოტივი" კი პირიქით, მადაზე მოდის და ზედიზედ მეორე მოგებით ლიდერთა მარაქაში გაერია.

მატჩის პირველი ნახევარი დიდად მოსაწყენი გამოდგა. ფეხბურთელებს შეტევისთვის თავი დიდად არ შეუწუხებიათ და თუ სტუმრებმა კარის მიმართულებით სამჯერ მაინც გაისროლეს შორიდან, მასპინძლებს ერთხელაც არ შეუწუხებიათ ლომაია.

მიუხედავად ამისა, გოლი სწრაფად გავიდა. დუმბაძემ მარცხენა ფლანგზე ჯარიმა და ყვითელი ბარათი „აიკიდა". ქოქიაშვილმა ჯარიმიდან კარის გასწვრივ ჩააწოდა და ბათუმელთა ახალწვეულმა გეგეშიძემ ბურთს ფეხი ისე დაუხვედრა, საკუთარი კარი დალაშქრა.

გოლმა თამაში სულაც არ გამოაცოცხლა. „ბათუმი" ამაოდ ცდილობდა რაიმე ღირებულის შექმნას, ხოლო რკინიგზელები თავს მშვიდად და აუღელვებლად იცავდნენ, შიგადაშიგ მწარედ იჩხვლიტებოდნენ.

შესვენებამდე კიდევ ორ ეპიზოდს თუ გაიხსენებს კაცი, თუნდაც იმიტომ, რომ მასპინძლები ორივეჯერ პენალტს ითხოვდნენ. პირველად კაკალაძემ პოზიციურ ბრძოლაში აჯობა ვაშაკიძეს და თითქოს გაექცა კიდეც. თუმცა ბოლო მომენტში რკინიგზელმა მცველმა ვარდნაში შეძლო მეკარესთან პირისპირ გასული მოიერიშის შეჩერება. საპენალტო სიტუაციის ილუზიაც ამ ვარდნამ შექმნა.

მერე „ბათუმმა" კუთხური ჩააწოდა, გუშარაშვილი მაღლა ახტა და თავით ბურთი საპენალტოსთან მდგარ დარჩიძეს დაუგდო. ვიტალიმაც არ დაახანა, დაარტყა და ერთ-ერთ რკინიგზელ მცველს გაარტყა, უფრო მუცელში, ვიდრე ხელში, საპენალტო არც აქ იყო არაფერი.

მშვიდი პირველი ტაიმის შემხედვარე მოულოდნელი გამოდგა მეორე ნახევრის დასაწყისი. რკინიგზელებმა პირველივე იერიში გოლად აქციეს. ჩინებულად გაისარჯა სირაძე, რომელმაც საჯარიმოს წინ მოიხელთა ბურთი, ორ მცველს აუარა და საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილ სოსელიას ისეთი პასი გაუკეთა, რომ მას ერთი შეხებით მეკარის მოძრაობაში დაჭერა არ გასჭირვებია.

„ბათუმმა" სწრაფად გაქვითა ერთი ბურთი. ცენტრიდან გათამაშებული შეტევა, ზუსტად იმ ადგილზე რკინიგზელთა დაჯარიმებით შეჩერდა, საიდანაც ქოქიაშვილმა პირველი გოლისას ჩააწოდა. ამჯერზე მანჩხავამ ჩაჰკიდა ბურთი საჯარიმოში, სადაც ყველას კაკალაძემ დაასწრო და ზუსტი თავურით ლომაიას შორეულ კუთხეში ჩაუსვა ბურთი.

სულ რაღაც ექვს წუთში კი კვლავ შეცდა გეგეშიძე, რომელსაც მარჯვენა ფლანგზე ბურნაძემ ბურთი „მოპარა" და საჯარიმოში ორ მცველს შორის გაჭრილი სირაძე მოძებნა. დავითმა ყველას დაასწრო, ერთი მოძრაობით მეკარეც ჩამოიცილა და ცარიელ კარში ბურთი მშვიდად შეაგორა.

ამის შემდეგ ნამდვილი საცოდაობა იყო მასპინძელთა თამაში, რომლებსაც შეტევის ორგანიზებაც კი უჭირდათ. სტუმრებმა კი პირიქით — გაილაღეს და რასაც მოისურვებდნენ, იმას აკეთებდნენ. ხომერიკის არყოფნაში გამოირჩა მიქაძე, რომელიც მცველთა შორის ბურთიანად ისე „დასეირნობდა", თავი იქვე ახლომახლო, ბულვარში ეგონა უსათუოდ.

თბილისი. 18 აგვისტო. 18 საათი. ლოკომოტივი. 700 (ტევადობა 20 000)

### სპარტაკი 0:1 სიონი

0:1 გონჩაროვი (22პ)

სპარტაკი: მამალაძე, ნუცუბიძე, ჟვანია, იმნაიშვილი (ნგაძე 73), ჯანგიძე (გურეშიძე 46), ჩიკვილაძე, ბოლქვაძე, გ. ალადაშვილი, ბრ. დოლიძე, ბ. თოდუა, ტატანაშვილი (ბაკურაძე 46) სათადარიგონი: შეყრილაძე, დონდოლაძე, კვერენჩხილაძე, კოტრიკაძე მწვრთნელი: ვასილ ჭეიშვილი

სიონი: ა. ლაბაძე, ბაქრაძე, ქიქვიშვილი, გილაური, ფანჩულიძე, გუჩუა, გაბისკირია, გაბიდაური, ბ. შენგელია (კვეკვესკირი 46), კოშკაძე (დარსანია 84), გონჩაროვი (ნიჟნიკაძე 77) სათადარიგონი: ვოლკოვი, ისიანი, დავუშვილი, ხუჯაძე მწვრთნელი: თემურ მახარაძე

გაფრთხილება: ჟვანია (21), შენგელია (30), ბაქრაძე (45)

მსაჯები: ხ. ანიაშვილი (გორი); ი. აფციაური (დუშეთი), ჯ. ბიბილეიშვილი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე; დირიჟორი: ს. კოტრიკაძე

ჯარიმა: 12-15; კუთხური: 6-1; კარისკენ დარტყმა: 3-4; კარში დარტყმა: 3-7; თამაშგარე: 3-7

პაატა კვანტალიანი

# მზემ გონჩაროვს სხივი სტყორცნა

ნაპუხოვარმა „სიონმა" ვაკურ „ლოკომოტივზე" დებიუტანტი „სპარტაკი" დაამარცხა გონჩაროვის კინკილა თერთმეტმეტრიანით. ამ ამბავს შედეგად ის მოჰყვა, რომ პატარა ბოლნისური „სიონი" ისტორიაში პირველად გალიდერდა უმაღლეს ლიგაში. „სიონი" დაუმარცხებელია და ქულით უსწრებს მდევართა ჯგუფს.

„ტორპედოსთან" ფრის გამგორებელი „სპარტაკი" დიდი ხეითო ვერ გამოდგა გუშინდელ მატჩში, მაგრამ ბოლნისელებიც შორს იყვნენ ჩვეული საბრძოლო ქინისგან. თემურ მახარაძემ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა და დებიუტშივე ნაცადი დაცვითი ტაქტიკით შეეცადა „სიონი" სარგებლის ნახვას. ნახა კიდეც, ერთი-ორი გაცუდებული კონტრშეტევის შემდეგ „სიონმა" პენალტი მოინადირა — ფანჩულიძემ ჟვანიას წააქცევინა საჯარიმოში თავი და გონჩაროვმაც უნაკლოდ შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა.

ეს იყო და სტუმრებს შეტევაზე არც უფიქრიათ. არც მეტოქე გაიკარეს საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს და ისეთი მოწყენილი ბურთაობა შეიქნა მოედნის ცენტრში, ერთი-ორმა წაუძინა კიდეც მზემომდგარ „ლოკომოტივზე". ტაიმის ბოლოს ისევ გონჩაროვმა გამოიდო თავი, თითოჯერ გაბისკირიას და ფანჩულიძის საჯარიმოში ჩაკიდული პასებისას გაიტანდა კიდეც მზეს, რომ არ მოეჭრა თვალი ბოლნისელთა ფორვარდისთვის.

მეორე ტაიმში „სპარტაკმა" გაბრძოლება სცადა, მაგრამ მახარაძემ ბესიკ შენგელიას კვეკვესკირი შეუნაცვლა და კიდევ უფრო ჩახურა „სიონის" საჯარიმოს მისადგომები. მიუხედავად ამისა, თბილისელებს ასეთ ვითარებაშიც შეეძლოთ ხეირი, მაგრამ ბაქრაძემ და კახა ალადაშვილმა ხელსაყრელი მომენტები გაფლანგეს. განსაკუთრებით სახიფათო ალადაშვილის შორეული გასროლილი იყო, თითებით სასწაულებრივ რომ გადააგდო კუთხურზე თემურ ვოლკოვის მეწყვილე ავთანდილ ლაბაძემ. „სპარტაკი" ამაოდ ცდილობდა მეტოქის საჯარიმოში შეღწევას, „სიონი" კი კრაზანასავით იკბინებოდა კონტრშეტევებით და გონჩაროვს და გუჩუას მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ, ანგარიში სხვა იქნებოდა. ორივე ფეხბურთელი ხუთწუთიან ინტერვალში კოშკაძის მოზომილი პასებით მამალაძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ორივეჯერ ივარგა ახალგაზრდული ნაკრების მეკარემ.



ბორის გონჩაროვმა ზურაბ მამალაძეს მხოლოდ პენალტით აჯობა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 10:2 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 7 |
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| დილა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| კოლხეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| ტორპედო | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| მცხეთა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:11 | 7 |
| თბილისი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:6 | 4 |
| მერცხალი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:10 | 1 |
| ბათუმი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |

საქართველოს ჩემპიონატი 15 პირველი წრე

1 ტური

16 აგვისტო

**გორდა 2:1 გურია**

**მეტალურგი 0:1 ვიტ ჯორჯია 2**

**ჩიხურა 0:1 ლუკა**

17 აგვისტო

**ქობულეთი 1:0 ლოკომოტივი 2**

18 აგვისტო

**სამგურალი 0:0 ოლიმპი**

**თსუ 0:0 ცხინვალი**

**მილანი 0:2 დინამო 2**

**ამერი — ივერია**

გადაიდო

საფეხბურთო კლუბი „გორდა"
სამძიმარს უცხადებს
აკაკი კაკაშვილს
მამის
გარდაცვალების გამო



დავით ჩალაძის ამ შედეგიანმა დარტყმამ „რუბინი“ მესამე ადგილზე აანაცვლა

# კობიაშვილმა თხა შეჭამა

## გიგიაძე მგლისფერს გადაურჩა

**ეინდჰოვენიდან** აბარგებული გოგა გახოკიძე ჰოლანდიაშივე დარჩა და ერთობ სასიამოვნო კომპანიაშიც მოხვდა. ახალ ჰოლანდიურ სეზონს გახოკიძე იმ „ტვენტეში“ გაატარებს, ერთ დროს ჩვენებურ „დინამოს“ რომ უწევდა მეტოქეობას. „ტვენტეს“ მწვრთნელი 80-იანი წლების ჰოლანდიის ნაკრების მოთამაშე ჯონ ვან სხიპია. ენსხედელებს საამსეზონო და შორს მიმავალი გეგმები აქვთ და ამისთვის შაბათს პირველი ნაბიჯიც გადადგეს — შინაურ კედლებში გახოკიძის გუნდმა „როზენდალი“ წამოაქცია. „ტვენტესთან“ კონტრაქტზე ხელმოწერილმა, დაბინავებულმა და ჩამანქანებულმა გახოკიძემ 89 წუთი დაჰყო მოედანზე და თავისიანთა გამარჯვებაში წილიც დაიდო. მასპინძლებს თავიდან ცუდად წაუვიდათ საქმე, გოლი გაუშვეს და ტაიმიც წააგეს, მაგრამ მეორე ტაიმში ვან სხიპის ბიჭებმა ბდღვირი ადინეს მეტოქეს და სამი უპასუხო გოლით გაისტუმრეს შინ. ორ საგოლე კომბინაციაში გახოკიძეც მონაწილეობდა. ვან სხიპმაც ნამატჩევს გულდაგულ შეაქო ქართველი, სასარგებლო მოთამაშეა ჩვენი ახალწვეული და ამ სეზონში დიდ სამსახურს გაგვიწევსო.

გერმანიაში ქართველებმა გაიხარეს. დრამატულ მატჩში „შალკემ“ 93-ე წუთზე გატეხა „კიოლნი“. გელზენკირხენელები ტაიმის ბოლო წუთზე დაწინაურდნენ. მეორე ტაიმი ხეირიანად გახურებული არ იყო, „თხებმა“ რომ გაქვითეს. მერე კი მეტოქეთა თითო ფეხბურთელი დაითხოვა. მსაჯმა და „შალკე“ ძალუმად მიაწვა სტუმართა კარს. გოლი არ ჩანდა და დროის გასვლასთან ერთად უფრო და უფრო ეწურებოდათ მასპინძლებს მატჩის მოგების იმედი, თუმც მშველელად ოქრო ბიჭი ალტინტოპი გამოჩნდა. თურქ მეგოლეს საგოლე პასი კობიაშვილმა გაუჭრა და „კიოლნს“ ბურთის ცენტრამდე მიტანის დროც არ დარჩა.

იყოჩაღეს იაშვილმა და ცქიტიშვილმაც. ამათ „ფრაიბურგს“ არ მოუგია, მაგრამ საპატიო ფრე გააგორა ბერლინში გამხეცებულ „ჰერტასთან“. ორივე ჩვენებურმა სრულად ჩაატარა მატჩი, ერთხელ კონტრშეტევაზე იაშვილს გასატანიც ჰქონდა, მაგრამ მეკარემ აჯობა.

მესამე ტური მიილია მეორე ბუნდესლიგაში და გერმანელები უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ რუსთაველ ხვიჩა შუბითიძეზე. ქართველმა შემტევმა ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა და ლამის მარტოკამ მოუგო დაწინაურებულ „უნიონს“. მასპინძლებმა ჯერ ხვიჩას საგოლე პასით გაქვითეს, მერე კი შუბითიძემ თავად ათრია სამი მეურვე და აუღებელი დაურტყა მომხვდურთა მეკარეს. „კიკერმაც“ კვლავ არ დაიზარა ჩვენებურისთვის მაღალი შეფასების — ორიანის დაწერა.

პირველ ტურში სტუმრად „მოზერუელის“ წამქცევი „დანდი“ კვირას შინაურ კედლებში ჩაფლავდა „დანფერმლაინთან“. დანდელები შაბათსავე წუწუნებდნენ, „დანფერმლაინმა“ პირველ ტურში „სელტიკთან“ ქულა გამოჭედა და გაგვიჭირდება მათი დამარცხებაო. ასეც მოხდა. გიორგი ნემსაძის გუნდმა ვერაფრით უპასუხა მეტოქის ორ გოლს. თავად ქართველს თამაში არ წაუვიდა და ყვითელ ბარათსლა დასჯერდა.

შეუცვლელად ითამაშა ზურაბ ხიზანიშვილმა. „რეინჯერსმა“ გვარიანად იღლაბუცა „აბერდინთან“. ჩაფრებმა რაც შეაგდეს, ორი იმდენი საგოლე შანსი გაფლანგეს, მეტოქეს კი ორის გატანის საშუალება მისცეს. ჯერაც მოუშუშებელი ტრავმის გამო არ უთამაშია შოთა არველაძეს. ამავე მიზეზით დავით მუჯირი „შტურმის“ მორიგ მარცხიან მატჩს გამოაკლდა. მუჯირის ამბიციური გუნდი ხუთი ტურის შემდეგ მოუგებელია და აუტსაიდერებში ყურყუტებს.

ორჯერ გაისროლა კიევში შალვა აფხაზავას თოფმა. „არსენალმა“ საშინაო მატჩში „ვორსკლა“ დახვრიტა. სტუმრები აფხაზავა-კარდაშის ხმაშეწყობილმა დუეტმა წაახდინა. ორ გოლს ქართველმა საგოლე პასიც მიაყოლა. „არსენალში“ მეორე მატჩი ჩაატარა ბელგიამოტოვებულმა გელა შეყილაძემ. მან შეუცვლელად ითამაშა და ყვითელ ბარათსაც გამოჰკრა ხელი.

გოჩა ჯამარაულის და გიორგი დემეტრაძის „მეტალურგი“ უგოლოდ გაეყარა „კრივბასს“. ამ მატჩში მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად და საიმედოდ ითამაშა ლევან მიქაძემ. ზურაბ იონანიძემ და მისმა „ტავრიამ“ კი ოდესაში ვერ ივარგეს.

ყაზანური „რუბინი“ კვლავაც აოცებს ყველას. ყურბან ბერდიევის გუნდი უკვე მესამე ადგილზე აცოცდა და საწვავი თუ ეყო, ერთ-ერთ ევროსაგზურსაც გამოჰკრავს ხელს.

შაბათს „რუბინმა“ დავით ჩალაძის გოლით დაამარცხა „როტორი“. ქართველი ბევრს მოძრაობდა და სიქა გააცალა ვოლგოგრადელ მცველებს. საიმედო თამაშით მაღალი შეფასება დაიმსახურა ლევან სილაგაძემაც. მიხეილ აშვეთიამ კი როსტოვული მატჩი ჩააგდო. ქართველი მეტწილად ჩრდილში იდგა. სიომინი დიდხანს ელოდა მის გახსნას და ბოლოს საერთოდ გამოიყვანა მოედნიდან. რკინიგზელები მამინოვის საპირველტაიმო გოლით იგებდნენ, თუმც ფრესღა დასჯერდნენ. მეტიც, წასაგები ჰქონდათ, რადგან „როსტოვმა“ გვარიანად ლეწა ოვჩინიკოვის კარის ძელები.

რუსული პრემიერლიგული ბოლო ტურის მატჩში „ურალანმა“ ქულა გაატანა ელისტიდან „ტორპედოს“. დედაქალაქელები პირველ ტაიმში ვოლკოვმა დააწინაურა, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლებს მატჩის გადარჩენის იმედი ვასილ გიგიაძემ გაუღვივა, ქართველმა 64-ე წუთზე გაქვითა, ოთხ წუთში კი ლოპესის გოლშიც მიიღო მონაწილეობა. გიგიაძის გუნდი მოიგებდა კიდეც, მაგრამ მგელმა ვოლკოვმა არ მოისვენა და ბოლოსკენ გათანაბრება მოახერხა.

ისევ შეცვლაზე ითამაშა მამია ჯიქიამ. მისმა „ამიცამ“ კვლავ მოიგო და ქულადაუკარგავია ორი ტურის შემდეგ.

ბულგარეთში წინა ტურში გოლის გამტანი ამირან მუჯირი გააძევეს, მისმა „მარეკმა“ კი უიმედოდ წააგო პლოვდივში „ლოკომოტივთან“. ბულგარეთშივე დამარცხდა ავთანდილ გვიანიძის „ბოტევი“.

უნგრულ ჩემპიონატში არ უთამაშია კახა ჩხეტიანს, თუმც „პეჩი“ უქართველოდაც ყოჩაღობს და ჯერჯერობით პირველ ადგილზეა.

**ბაადა ძმანტალიანი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. პირველი ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | კიოლნი 2:1 | 90 | საგოლე პასი | 3 | 0 | 7 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰერტა 0:0 | 90 | | 3 | 0 | 12 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰერტა 0:0 | 90 | | 3 | 0 | 12 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | უნიონი 2:1 | 90 | 1 გოლი, საგოლე პასი | 3 | 2 | 12 |
| მიხეილ სავაია | უნტერჰახინგი | ს | ლიუბეკი 2:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 1 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | აბერდინი 3:2 | 90 | | 2 | 0 | 1 |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | აბერდინი 3:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | დანფერმლაინი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 6 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | პაშინგი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 9 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | როტორი 1:0 | 65 | 1 გოლი, შეცვალეს | 13 | 3 | 3 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | როტორი 1:0 | 90 | | 8 | 0 | 3 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | როტორი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ვასილ ხმელიძე | როსტოვი | შ | ლოკომოტივი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 10 |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | შ | ტორპედო 2:2 | 90 | 1 გოლი | 6 | 2 | 12 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | შ | ტორპედო 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | შ | ცსკა 2:1 | 63 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 17 | 1 | 15 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | როსტოვი 1:1 | 82 | შეცვალეს | 6 | 4 | 7 |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | როსტოვი 1:1 | 0 | სათადარიგო იყო | 11 | 1 | 8 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | ურალანი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| **უკრაინა. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | ს | ჩერნომორეცი 0:2 | 63 | შეცვალეს | 5 | 1 | 11 |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | კრივბასი 0:0 | 90 | | 6 | 1 | 5 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | კრივბასი 0:0 | 87 | შეცვალეს | 6 | 3 | 5 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | შ | მ. დონეცკი 0:0 | 90 | | 6 | 0 | 14 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | ჩერნომორეცი 0:2 | 0 | სათადარიგო იყო | 0 | 0 | 11 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | დინამო 2:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 9 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | ვორსკლა 4:0 | 90 | 2 გოლი, საგოლე პასი | 5 | 3 | 10 |
| გელა შეყილაძე | არსენალი | შ | ვორსკლა 4:0 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 10 |
| **ფინეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| დავით ნიკურაძე | კტპ | ს | კუოპიო 3:1 | 0 | | 0 | 0 | 10 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | ლოკომოტივი 1:4 | 58 | გააძევეს | 2 | 1 | 8 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | ს | ბელასიცა 0:3 | 45 | შეცვალეს | 1 | 0 | 11 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | შ | ლეხი 1:0 | 58 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ. | 2 | 0 | 3 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | როზენდალი 3:1 | 89 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 1 | 0 | 1 |
| **აზერბაიჯანი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| თემურ ჩლაიძე | ხაზარი | შ | შახდაგი 2:0 | ? | | ? | ? | 5 |
| დავით ჩიგოშვილი | ხაზარი | შ | შახდაგი 2:0 | ? | | ? | ? | 5 |
| არჩილ სოხაძე | ხაზარი | შ | შახდაგი 2:0 | ? | | ? | ? | 5 |
| **უნგრეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | პეჩი | ს | შეკეშადი 4:0 | 0 | სათადარიგო იყო | 1 | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*




გოგა გახოკიძემ (მარცხნივ) და „ტვენტემ“ წარმატებული დებიუტი იზეიმეს

## ინგლისი

### პრემიერლიგა. I ტური

**მანჩესტერ იუნ. 4:0 ბოლტონი**

1:0, 2:0 გიგზი (35, 74), 3:0 სქოულზი (77), 4:0 ვან ნისტელროი (87)

*ვან ნისტელროიმ ვერ გაიტანა პენალტი (64, მეკარე)*

მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, ფ. ნევილი, რ. ფერდინანდი, სილვესტრი, ჯ. ფორჩუნი, სოლსკიაერი (ჯემბა-ჯემბა 67), როი კინი, ბათი (კ. რონალდო 61), გიგზი (ფორლანი 80), სქოულზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ლავილი, ნგოტი, რ. გარდნერი, იანაკოპულოსი (ფრეისი 76), ოკოჩა, კამპო, ნოლანი (ფრანდსენი 72), პედერსენი (ჯორკაეფი 59), კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: ნგოტი, იანაკოპულოსი, ნოლანი, გარდნერი
მსაჯი: დარკინი
67 647 მაყურებელი

**არსენალი 2:1 ევერტონი**

1:0 ანრი (35პ), 2:0 პირესი (58), 2:1 რადზინსკი (84)
არსენალი: ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, ეშლი კოული, კ. ტურე, პირესი (პარლოუ 70), ვიეირა, ლიუნგბერგი, ჟილბერტო სილვა, ანრი, ვილტორდი (კიოუნი 30)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ევერტონი: რ. რაიტი, პისტონე, სტაბსი, იობო, ანსუორთი (ტიე 67), უოტსონი, პემბრიჯი (ნეისმიტი 67), გრავესენი, ლინდეროთი (რუნი 57), რადზინსკი, ნ. ჩედვიკი
გაფრთხილება: გრავესენი, ვიეირა, რუნი, ტიე
გაძევება: კემპბელი (25), ტიე (87)
მსაჯი: პოლსი
38 014 მაყურებელი

**ლივერპული 1:2 ჩელსი**

0:1 ვერონი (25), 1:1 ოუენი (79პ), 1:2 ჰასელბაინკი (87)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიიპია, ანშო (ფინანი 70), რიისე, კიუელი, დენი მერფი, ბიშკანი (ბაროში 70), შეირუ (დიუფი 55), ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ჩელსი: კუდიჩინი, გ. ჯონსონი (გალასი 73), ტერი, დესაი, ბრიჯი, გრონკიაერი, ჯერემი, ვერონი, ლამპარდი, დაფი (ჯ. კოული 75), გუდიონსენი (ჰასელბაინკი 46)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ბიშკანი, ანშო, ლამპარდი, დიუფი
მსაჯი: ბენეტი
44 082 მაყურებელი

**ლიდსი 2:2 ნიუკასლი**

0:1 შირერი (20პ), 1:1 ვიდუკა (24), 2:1 სმიტი (57), 2:2 შირერი (88პ)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, რადებე, ზ. კამარა, მატეო, საკო (დომი 60), ჯ. მორისი, ს. ჯონსონი, უილკოქსი (ბეტი 74), ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, ვუდგეიტი, ბერნარი (ჯენასი 73), ბოუერი (ამეობი 73), სპიდი, დაიერი, რობერი (სოლანო 84), შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: უილკოქსი, ჯონსონი, მორისი, დომი, ვუდგეიტი, ბელამი
მსაჯი: მარტინი
36 766 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:3 მანჩესტერ სიტი**

0:1 ანელკა (13პ), 0:2 სიბიერსი (23), 0:3 ჟიხაი (83)
ჩარლტონი: როისი, კიშიშევი (კ. იენსენი 46), ფიში, როუეტი, ბრეიდარსონი, კონჩესკი, იუელი, ჰოლანდი, პარკერი, ლისბი (ჯ. იოჰანსონი 78), ბარტლეტი (იანგი 46)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
მანჩესტერ სიტი: სიმენი, ჟიხაი, სომერი, დისტინი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, სიბიერსკი, ტ. სინკლერი (ტიატო 90), ანელკა, ფაულერი (ვანჩოპე 77)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: კონჩესკი, იუელი, სიბიერსკი
გაძევება: ფიში (71)
მსაჯი: დინი
25 780 მაყურებელი

**ბირმინგემი 1:0 ტოტენჰემი**

1:0 დანი (36პ)
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, კუნა, კანინგემი, პარსი, კლემპი, დ. ჯონსონი, სევიჯი (ტებილი 90), კლემენსი, დ. დანი, ჰორსფილდი (ჯონი 69), დიუგარი (დევლინი 72)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

# სულ სხვა რონალდო და ბებერთა გოლები



REUTERS

რომან აბრამოვიჩი პირველი გამარჯვებით ხარობს



REUTERS

მთელი ინგლისი ახლა მანჩესტერელ რონალდოზე ლაპარაკობს

ტოტენჰემი: კელერი, კარი, ბუნიევჩევიჩი, ე. გარდნერი, დოჰერტი, ტარიკო (მერნი 70), რიკეტსი, ს. დევისი, რედნაპი, რობი კინი, პოსტიგა (ზამორა 57)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: სევიჯი, კლემენსი, დანი, გარდნერი, კარი, დევისი, რიკეტსი, მერნი
მსაჯი: სტაილზი
29 358 მაყურებელი

**პორტსმუთი 2:1 ასტონ ვილა**

1:0 შერინგემი (42), 2:0 ბერგერი (63), 2:1 ბერი (84პ)
პორტსმუთი: ჰისლოპი, ჟივკოვიჩი, ფოქსი, დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, სტოუნი, ფეიე (შემელი 90), ქვოში, ბერგერი, შერინგემი, აიეგბენი (პერიკარი 76)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ასტონ ვილა: სორენსენი, დილანი, იონსენი, ალფაი, ჯ. სამუელი, ჰენდრი, გ. მაკკანი, ბერი, ოლბოკი, უიტინგემი (მიცლსპერგერი 59), ანხელი (კრუჩი 77)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: სტეფანოვიჩი, ფეიე, მაკკანი
გაძევება: ბერი (87)
მსაჯი: ბარბერი
20 101 მაყურებელი

**ლესტერი 2:2 საუთჰემპტონი**

1:0 დიკოვი (5პ), 2:0 ფერდინანდი (10), 2:1 ფილიპსი (76), 2:2 ბიტი (80)
ლესტერი: უოქერი, კურტისი, ნ. ელიოტი, ტეტჩერი, როჯერსი, სკოუკროფტი, იზეტი, შიმეკა, გილესპი (ჯ. სტიუარტი 83), ლ. ფერდინანდი (დინი 46), დიკოვი (ნალისი 71)
მწვრთნელი: მიკი ადამსი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, მიხაელ სვენსონი, ლუნდეკვამი (ჰიგინბოთემი 13), ლე სო, ოკლი, დელაპი, ა. სვენსონი (ფილიპსი 46), ნ. მაკკანი, ბიტი, ტელფერი (ფერნანდესი 67)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: იზეტი, შიმეკა, დიკოვი, მაკკანი
მსაჯი: რაილი
31 621 მაყურებელი

**ბლექბერნი 5:1 ვულვერჰემპტონი**

1:0 ამორუზო (17), 2:0 ტომპსონი (29), 3:0 ემერტონი (52), 3:1 ივერსენი (71), 4:1, 5:1 კოული (79, 87)
ბლექბერნი: ფრიდელი, გრეშკო, მარტინ ტეილორი, ლ. ამორუზო, ნილი, დ. ტომპსონი (გრაბი 80), ფლიტკროფტი, თუგაი, ემერტონი, იორკი, იანსენი (ენდი კოული 74)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ვულვერჰემპტონი: მიურეი, ირვინი, კრადოკი, ბატლერი, ნეილორი, ნიუტონი (ა. კამარა 86), კამერონი, ინსი, სილასი (ბლეიქი 59), ივერსენი, სტარიჯი (ლუჟნი 73)
მწვრთნელი: დეივ ჯონსი
გაფრთხილება: ტომპსონი, ბლეიქი
მსაჯი: უინტერი
26 270 მაყურებელი

**ფულემი 3:2 მიდლსბრო**

0:1 მარინელი (10), 1:1 მარლე (18), 2:1 ინამოტო (56), 3:1 საჰა (70), 3:2 ნემეტი (81)
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, ბონისელი, ჯერუ, გომა, ლეგვინსკი, ინამოტო, კლარკი, მალბრანკი, მარლე (ბოა მორტე 90), საჰა (ჰეილსი 71)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, რიგოტი, საუთგეიტი, ა. რაიტი, გრინინგი, ჟუნინიო პაულისტა (ნემეტი 73), ბოატენგი (კუპერი 78), დორივა, კრისტი, მარინელი (ჟობი 55)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ლეგვინსკი, საუთგეიტი
მსაჯი: პოლი
14 546 მაყურებელი

**პრემიერლიგა** დაიწყო და ცხრილს სათავეში ჩაუდგა „ბლექბერნ როვერსი“, რომელმაც 5:1 მოუგო პრემიერლიგაში მოსულ „ვულვერჰემპტონს“. „ეს დიდებული დღე იყო ჩვენთვის — თქვა ბლექბერნელთა მენეჯერმა გრემ სუნესმა — პირველ ოცდათხუთმეტ წუთში ბრწყინვალე ფეხბურთი ვითამაშეთ. ბრეტ ემერტონი კი საუცხოო ფეხბურთელია“.

თავისი ავსტრალიელი მოთამაშის შექება სუნესს ჰაიზარად არ დაუწყია, ოზი და უბერებელი ლორენცო ამორუზო საუკეთესონი იყვნენ მოგებულთა შორის, „ვულვზის“ კარში კი ბოლო ორი გოლი ენდრიუ კოულმა გაიტანა. ასე რომ, ძალიან ბევრი თავგამოჩენილის ჩამოთვლა მოგვიწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბლექბერნმა“ მართლაც კარგად ითამაშა.

„ბლექბერნ“ — „ვულვზის“ თამაშში ტურის ყველაზე მეტი, ექვსი გოლი გავიდა და ათ შეხვედრაში სწორედ ის გამოდგა ერთადერთი, მსაჯს პენალტი რომ არ დაუნიშნავს. პრემიერლიგა ჯერ ხეირიანად არ გახურებულა და ეტყობა, მცველები და მსაჯები რიგიანად ვერ შეგუებიან მინდორს. დანიშნული 9 პენალტიდან 7 გავიდა, ორი კი ააცილეს — რუუდ ვან ნისტელროიმ (ზედიზედ მეორედ, ჩარითი შილდის სერიის გათვალისწინებით) და მიდლსბროელმა მალკოლმ კრისტიმ „ფულემთან“ მატჩში. თუმც აქ ისიც უნდა ითქვას, რომ პენალტი კი 9 იყო, მაგრამ 10-ჯერ შესრულდა. „ჩელსისთან“ მატჩში მაიკლ ოუენმა ნიშნულიდან კარს აცილა, მაგრამ მსაჯმა სტივ ბენეტმა ხელახლა დაარტყმევინა, მეკარე კარლო კუდიჩინი ხაზიდან ადრე დაიძრაო.

საერთოდ, „ლივერპული“ — „ჩელსი“, კვირა შუადღეს რომ გაიმართა „ენფილდზე“, მეტად საინტერესო საცქერი იყო: ერთის მხრივ, მოუქნელი, მძიმე მასპინძლები, რომელთა შორისაც ყველას სჯობდა ჰარი კიუელი და მეორეს მხრივ, განახლებული, აწყობილი და ჭკვიანი „ჩელსი“, რომელმაც სულ ოთხჯერ დაარტყა კარში და აქედან ორი გაიტანა. ვერონის ადრიანი გოლის შემდეგ ოუენმა თამაშის ბოლომდე თორმეტიოდ წუთით ადრე გაათანაბრა, თუმცა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა მაინც მოახერხა თავისი საფირმო შეჭრა და სტუმრებს მოაგებინა. ლოჟაში მჯდომი რომან აბრამოვიჩი წრფელად ხარობდა გამარჯვებით, თუმცა, ეს სიხარული უფრო რუსი ოლიგარქის ზეიმს გავდა, ვიდრე ინგლისური კლუბის თავმჯდომარისა. ამაში, ალბათ, მისი ზედმეტად მოზეიმე ამალა უფრო იყო დამნაშავე, ვიდრე თვითონ ჩუქჩების გუბერნატორი. ასეა თუ ისე, „ჩელსი“ ძალიან კარგია.

მანჩესტერში კი აი, რა მოხდა: იქ ჩასულ „ბოლტონის“ მენეჯერ სემ ალარდაისს კარიერაში არ წაეგო „ოლდ ტრეფორდზე“, ახლა კი 0:4-ით წავიდა. თუმცა, ტაიმნახევარს მხოლოდ ერთი ბურთით აგებდა. სახალისო ის იყო, რომ რაიან გიგზმა ჯარიმა გაიტანა, ვან ნისტელროი კი ყველას ყველაფერში ხელს უშლიდა, ბოლოს კი მაინც ჩააჭედა ბურთი კარში. მე-60 წუთზე კი მოედანზე შემოვიდა კრისტიანო რონალდო. აი, ეს ყოფილა, ვინც ყოფილა. ყრმა პორტუგალიელმა აიკლო ორი ფრთა და პირველივე გარღვევით პენალტი მოიპოვა. მანვე დაიდო წილი გიგზის მეორე გოლში. თუმცა, ეს ფაქტები სრულიადაც ვერ გამოხატავს ამ რონალდოს საფეხბურთო ნიჭს და ჯადოსნობებს.

„არსენალმა“ ტაიმნახევარი ცხრა კაცით ითამაშა „ევერტონის“ წინააღმდეგ და მაინც გაახერხა თავისი მულტიპლიკაციური თამაში. „ევერტონი“ კი სულაც არ ჩანს სუსტი გუნდი. დიდი ომი გამოვიდა ლიდსში, სადაც ბრწყინვალედ მოთამაშე ალან სმიტმა და მარკ ვიდუკამ კინაღამ სამი ქულა წაგლიჯეს „ნიუკასლს“, რომელიც შირერის პენალტის შემდეგ იგებდა, თუმცა უკვდავმა ალანმა თამაში წაგებით არ დაასრულა. ზედიზედ მეოთხე სეზონის გამხსნელ მატჩში გაიტანა ფულემელმა ლუის საჰამ, ამ გუნდმა კი 3:2 მოუგეს მიდლსბროს“. „სიტიმ“ [illegible] „ვულვზევე“ დასცა, 3:0, თუმც, მასპინძლებს არ ჰყავდათ პაოლო დი კანიო.

ყველაზე დიდი ზეიმი კი მაინც პორტსმუთში იყო, სადაც პრემიერლიგის ახალბედა მეზღვაურებმა „ფრეტონ პარკზე“ 2:1 მოუგეს დევიდ ოლირის ხელქვეით მყოფ „ასტონ ვილას“. ძველი ნაცნობები ახალ სამოსში შეუდარებელნი იყვნენ: ტედი შერინგემმა ჰაერიდანვე დაამატა მეკარე სორენსენის მოგერიებულს, პატრიკ ბერგერმა კი ჭკვიანური გოლი შეაგდო. გარეტ ბერიმ თამაშის მიწურულს პენალტით გაქვითა ერთი გოლი, თუმც ორიოდ წუთში მოედნიდან გააძევეს.

„ჩვენ სწორად მოვიქეცით ტედი და პატრიკი რომ მოვიწვიეთ — თქვა ზღვისპირელთა მენეჯერმა ჰარი რედნაპმა — ტედი ისე იქნება, როგორც პოლ მერსონი იყო შარშან. პოლმა ხომ დიდი გამარჯვებებისთვის მომართა გუნდი“.

**ირაკლი გამყრელიძე**

### პირველი დივიზიონი

#### II ტური

**კარდიფი 0:2 ბრედფორდი**
0:1 გრეი (6), 0:2 ემანუელი (69)

**კოვენტრი 0:0 უოლსოლი**

**კრიუ 1:0 იფსვიჩი**
1:0 ლანტი (69)

**კრისტალ პალასი 1:0 უოტფორდი**
1:0 შიპერლი (14)

**ჯილინგემი 0:0 დერბი ქაუნთი**

**ნორვიჩი 2:0 როტერჰემი**
1:0 ისტონი (9), 2:0 რივერსი (30)

**რედინგი 3:0 ნოტინგემი**
1:0 სიდუელი (49), 2:0 მიურეი (59), 3:0 გოტერი (79)

**სტოკი 2:1 უიმბლდონი**
1:0 აკაბა (26), 1:1 ეგიმუნგი (55), 2:1 ტომასი (90)

**სანდერლენდი 0:1 მილუოლი**
0:1 ველანი (7)

**ვესტ ბრომვიჩი 4:1 ბარნსლი**
0:1 ბლეიკი (28), 1:1 შაკორი (31), 2:1 ჰალსი (59), 3:1, 4:1 ჰიუზი (88, 89)

**ვესტ ჰემი 0:0 შეფილდ იუნ.**

**უიგანი 1:1 პრესტონი**
0:1 ფულერი (87), 1:1 მაკკალოხი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტოკი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| მილუოლი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| კრ. პალასი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| უოლსოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| რედინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ნორვიჩი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ბრედფორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ვესტ ჰემი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| უიმბლდონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ვესტ ბრომვიჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| ნოტინგემი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| კრიუ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| შეფილდი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ჯილინგემი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| კოვენტრი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პრესტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| იფსვიჩი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| უიგანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| კარდიფი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| როტერჰემი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| დერბი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| უოტფორდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სანდერლენდი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| ბარნსლი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |

### მეორე დივიზიონი

მე-2 ტური: კოლჩესტერი — სუინდონი 0:1; ბლეკპული — უიკომბი 3:2; ბორნმუთი — ბარნსლი 2:2; ბრენტფორდი — პიტერბრო 0:3; ჩესტერფილდი — ბრისტოლი 1:1; გრიმსბი — პორტ ვეილი 1:2; ჰარტლპული — ტრანმერი 0:0; ნოტსი — რექსემი 0:1; რაშდენი — პლიმუთი 2:1; შეფილდ უენსდი — ოლდემი 2:2; სტოკპორტი — ლუტონი 1:2. ბრაიტონი — ქუინზ პარკი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)

### მესამე დივიზიონი

მე-2 ტური: ბოსტონი — მაკლსფილდი 2:2; როვერსი — როჩდეილი 0:0; ბერი — სკანთორპი 2:3; კემბრიჯი — მაკლსფილდი 3:1; დონკასტერი — საუთენდი 2:0; მენსფილდი — ლეიტონი 1:1; ოქსფორდი — ჰალი 2:1; ტორკი — ლინკოლნი 1:0; იოვილი — კარლაილი 3:0; იორკი — ნორთჰემპტონი 1:0; დარლინგტონი — კიდერმინსტერი 0:2; ჩელტენემი — სუონსი 3:4

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბლექბერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 სიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 4 ფულემი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 პორტსმუთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 7 არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 ბირმინგემი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 ლიდსი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 ნიუკასლი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 11 ლესტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 12 საუთჰემპტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 13 მიდლსბრო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 14 ლივერპული | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 15 ევერტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 16 ასტონ ვილა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 17 ტოტენჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 18 ჩარლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 19 ვულვზი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | -4 | 0 |
| 20 ბოლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გიგზი (მანჩესტერ იუნ.) | 2 |
| ენდი კოული (ბლექბერნი) | 2 |
| შირერი (ნიუკასლი) | 2 |

### II ტური

23 აგვისტო

ასტონ ვილა — ლივერპული
ბოლტონი — ბლექბერნი
ჩელსი — ლესტერი
ევერტონი — ფულემი
სიტი — პორტსმუთი
მიდლსბრო — არსენალი
ნიუკასლი — მანჩესტერი
საუთჰემპტონი — ბირმინგემი
ტოტენჰემი — ლიდსი
ვულვზი — ჩარლტონი

## გერმანია
### ბუნდესლიგა. III ტური

**შალკე 2:1 კიოლნი**

1:0 აგალი (42), 1:1 ლოტნერი (51), 2:1 ალტინტოპი (90)
შალკე: ფ. როსტი, ჰაიტო, ვალდოხი, კლასენერი (როდრიგესი 63), ვან კერკჰოვენი, ჰამიტ ალტინტოპი, კ. პოულსენი (ციომერი 77), ზაიცი, ქობიაშვილი, ხანდი, აგალი (ჰანკე 82)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
კიოლნი: ვესელსი, კულმანი, ტ. კლოსი (ჰაჰე 85), ო. შრიოდერი, ჰაინრიხი, კრინგე, შპრინგერი, ლოტნერი (ფედერიკო 83), შერცი, ვორონინი (შელბიდი 90), ებერსი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: აგალი, ებერსი, ციომერი, ლოტნერი, ებერსი
გაძევება: ჰაინრიხი (53), ზაიცი (53), ებერსი (90)
მსაჯი: შტარკი
61 027 მაყურებელი

**ჰერტა 0:0 ფრაიბურგი**

ჰერტა: კირალი, რემერი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი (კარვანი 59), ფრიდრიხი, დარდაი, ნ. კოვაჩი, გოორი (მლადენოვი 77), ნოინდორფი (ტ. მარქსი 64), რაფაელი, ბობიჩი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, ბ. დიარა (შ. მიულერი 73), რაიტერი, ბერნერი (ვილი 73), ა. ცაიერი, ბაირამოვიჩი, ცქიტიშვილი, კულიბალი, იაშვილი, კრუპკე (კაირო 57)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: რაფაელი, რაიტერი, დიარა
მსაჯი: შმიდტი
32 508 მაყურებელი

**ლევერკუზენი 4:0 ჰანოვერი**

1:0 ფრანცა (2), 2:0, 3:0 ნოივილი (9, 52), 4:0 ბიროფკა (73)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ბალიტში, ლუსიო, ჟუანი, პლასენტე, რამელო, ბ. შნაიდერი (კალუჟნი 75), ბაბიჩი, პონტე, ნოივილი (ბიროფკა 65), ფრანცა (ბერბატოვი 78)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ჰანოვერი: ტრემელი, თ. შნაიდერი (შულერი 46), კონსტანტინიდისი, ვინისიუსი, დე გუზმანი, დაბროვსკი, კრუპნიკოვიჩი, შიმაკი, სტაინერი (ზურავი 79), ბრდარიჩი, კრისტიანსენი (შტენდელი 46)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: რამელო, კონსტანტინიდისი, ბრდარიჩი, კრუპნიკოვიჩი, დე გუზმანი, შიმაკი
მსაჯი: ფროილიხი
22 500 მაყურებელი

**დორტმუნდი 3:1 მიუნხენი**

1:0, 2:0 ამოროზო (46, 56პ), 3:0 კოლერი (61), 3:1 კიოიო (87)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ხ. ფერნანდესი, ვიორნსი, მადუნი, ბერგდოლმო, ფ. კონსეისაო (შ. როიტერი 46), ო. ადო, როსიცკი (ნ. იენსენი 82), დედე, ამოროზო (ევერტონი 74), კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, გიორლიცი, ტ. ჰოფმანი, როდრიგო კოშტა, საარინენი, შვარცი, ტისი (კაისენბერგერი 61), ჩერნი (ვიზინგერი 65), პიურკი, ლაუტი, შროტი (კიოიო 71)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: ბერგდოლმო, ვიზინგერი, ტისი
მსაჯი: მერკი
76 500 მაყურებელი

**ბაიერნი 2:0 ბოხუმი**

1:0 პიზარო (20), 2:0 დაისლერი (26)
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, კუფური, თ. ლინკე, ლიზარაზუ (ხანიოლი 77), იერემისი, ჰარგრივსი, დაისლერი (შვაინსტაიგერი 77), ზე რობერტო, მაკაი (ელბერი 77), კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კალა, ოლისე, ფარენჰორსტი, კოლდინგი, პ. ბიონიგი, ცდებელი (ბ. გუდიონსონი 61), ტ. გუდიონსონი, ვოში (დიაბანგი 46), პ. მადსენი (ჰაშემიანი 68)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ლიზარაზუ, ლინკე, ფარენჰორსტი
მსაჯი: გაგელმანი
63 000 მაყურებელი

# შალკეს შავტუხა ოქრო
## 10 000 მაკაისთვის, მაქსის მაქსიმუმები და დალესანდრო


REUTERS მიუნხენიდან

როი მაკაის დებიუტი არ გამოუვიდა

**მიონხენგლადბახი 0:1 შტუტგარტი**

0:1 კაკაუ (33)
*დემომ ვერ გაიტანა პენალტი (84, მეკარე)*
მიონხენგლადბახი: შტილი, კორზინეცი, პლეტში, შტრასერი (სვერკოში 85), ასანინი, კლუგე, ულიხი (ვან ლენტი 62), ვან ჰუტი, კოლკა, კეტელაერი, სკოუბო (დემო 62)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, გერბერი, სოლდო (მაისნერი 75), ვრანიეში, გლები (ტიფერტი 9), ჰელდტი (ლაჰმი 63), კაკაუ, კურანი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: შტრასერი, სკოუბო, მეირა, გერბერი, ტიფერტი, ჰილდებრანდი, ვრანიეში
მსაჯი: ვაინერი
30 700 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 0:1 ვერდერი**

0:1 მიკუ (66)
კაიზერსლაუტერნი: თ. ერნსტი, ჰენგენი (ჰალილ ალტინტოპი 75), ლემბი, კნავსი, ფროინდი (ანფანგი 61), ხრისტოვი, გრამოციხი, ნურმელა (დომინგუში 46), კოსოვსკი, კლოზე, ლოკვენცი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ვერდერი: რაინკე, ისმაელი, კრსტაიჩი, უმიტი, სტალტერი, ბაუმანი, ლისტეში (მულცი 79), ფ. ერნსტი, მიკუ (ბოროვსკი 90), ხარისტიასი, აილტონი (რაიხი 84)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: გრამოციხი, ხრისტოვი, უმიტი, ერნსტი
მსაჯი: ფაკი
36 056 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 5:1 ჰამბურგი**

0:1 ბარბარესი (48), 1:1 კლიმოვიჩი (50), 2:1 პეტროვი (60), 3:1 მიულერი (70), 4:1 დალესანდრო (75), 5:1 კლიმოვიჩი (85)
ვოლფსბურგი: იენზი, ფრანცი, შნოორი, როტერი, ვაიზერი, ტიამი, სტრაიტი (ს. მიულერი 57), დალესანდრო (კარჰანი 79), ტოპიჩი (შარპეი 86), მ. პეტროვი, კლიმოვიჩი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, იაკობსენი, ჰოოგმა, უიფალუში, რაჰნი, ვიკი, მალტრიცი (რომეო 69), ბაინლიხი, მაჰდავიკია, ტაკაჰარა, ბარბარესი
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: შნოორი, ფრანცი, კლიმოვიჩი, ბარბარესი, რაჰნი, იაკობსენი
მსაჯი: ფანდელი
27 635 მაყურებელი


REUTERS დორტმუნდიდან

„დორტმუნდი" — „მიუნხენი". სტუმართა გამორჩეული ყურადღება დორტმუნდელთა კაპიტან ტომაშ როსიცკის (მარცხნივ) ერგო

**ჰანზა 3:0 აინტრახტი**

1:0, 2:0, 3:0 მაქსი (19, 54, 66პ)
შკელამ ვერ გაიტანა პენალტი (73, მეკარე)
ჰანზა: შობერი, ტიკუზე, კინცი, ჰილი, მელკამი, პლასნეგერი (რიდლევსკი 77), ლანცი, ადუბე, შულცი, მაქსი (არვიდსონი 85), პრიკა (ვორბეკი 71)
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
აინტრახტი: ნიკოლოვი, ბინდევალდი, ცომუ-მიდზა, ჩიპა, ვიდენერი, შური, ლექსა (ბაიერლე 82), შკელა, დრაგუში (კრიოიცი 57), ჩა, ფრომერი (ჯონსი 57)
მწვრთნელი: ვილი რაიმანი
გაფრთხილება: შკელა, ჩიპა, ბინდევალდი
მსაჯი: კინჰოფერი
19 600 მაყურებელი

როი მაკაი თავის ბუნდესლიგური დებიუტით აღარავის ახსოვდა, რადგან გელზენკირხენში დიდი შეხლა იყო — „შალკემ" და „კიოლნმა" ერთმანეთი არ დაინდეს, ძვლებისა და წვივსაფრების ჭახანს სამი გაძევება მოჰყვა, ხოლო მატჩის გმირი, ისევე როგორც „შალკეს" პირველი ტურის შეხვედრაში „დორტმუნდთან, 20 წლის ჰამიტ ალტინტოპი გამოდგა.

პირველი გოლი აყლაყუდა ნიგერიელმა ვიქტორ აგალიმ გაიტანა, გამათანაბრებელი დირკ ლოტნერის საჯარიმო დარტყმას მოჰყვა. არბიტრის მიერ დამატებულ მე-3 წუთზე კი ალტინტოპმა ლევან კობიაშვილის პასით შეაგდო და „შალკეს" პირველი გამარჯვება მოუტანა მიმდინარე ბუნდესლიგაში.

საგენტო „როიტერი" იუწყება, რომ „შალკე" — კიოლნი" მახინჯი თამაშიც იყო ფეხბურთელთა ზედმეტი ვნების და უწესობის გამოო. იოხენ ზაიცი და იორგ ჰაინრიხი იმიტომ გააძევეს, რომ ერთმანეთს დაცხეს, ხოლო მარიუს ებერსმა ორი ყვითელი მოაქუჩა.

მაკაის დებიუტი კი დიდი ვერაფერი გამოდგა. არადა, მიუნხენში დაახლოებით ათი ათასამდე ჰოლანდიელი ჩავიდა როის დებიუტის სანახავად. თანმემამულეთაგან ასეთი პატივი მაკაის მისი „დეპორტივოში" ყოფნისას არ ღირსებია.

გერმანელმა მიმომხილველებმა „ბაიერნის" უფროსობას ირიბად გაჰკრეს კბილი — ოტმარ ჰიცფელდს ვინძლო მათ დაუჟინეს, კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ჯოვანი ელბერის ნაცვლად ეთამაშებინაო.

თუმც მაკაის ერთი კარგი საგოლე შანსი მაინც ჰქონდა, მაგრამ ახლოდან „ბოხუმის" მეკარეს, ასევე ჰოლანდიელ რინ ვან დიჰნოვენს ვერ აჯობა. მანამდე კი მაკაიმ კლაუდიო პიზაროს გოლში დაიდო წილი.

სამაგიეროდ, ბავარიელებისთვის ერთი ღირსსახსოვარი ფაქტი მაინც მოხდა — სებასტიან დაისლერმა თავისი პირველ ბაიერნული გოლი გაიტანა — ოუენ ჰარგრივსი „ბოხუმის" კარიდან 30 მეტრზე უფრო შორს წაიქცა, მაგრამ „ბასტი-ფანტასტიმ" იქიდან უნაკლო საჯარიმო შეასრულა.

მსუყე ფრეს გამორჩა „ფრაიბურგი" — ბერლინიდან ქულის წაღება ხუმრობა საქმე სულაც არაა. თანაც ვერც ვერავინ დაიჩემებს, „ჰერტას" არ გაუმართლა და ამიტომ ვერ მოიგოო — „ჰერტა" ამ ბუნდესლიგაში ერთადერთია, რომელსაც ჯერ გოლი არ გაუტანია.

შეუჩერებელია კლაუს ტუგენტჰალერის „ლევერკუზენი", ტუგენტჰალერს „ნიურნბერგში" მწვრთნელობისას თავი დიდად არ გამოუჩენია, მაგრამ ფარმაცევტულ სარბიელზე ძალიან დამაჯერებლად მუშაობს.

ჯაბანი არც დორტმუნდული „ბორუსია" გამოდგა. ზამერელთაგან მარსიო ამოროზომ გაილაღა და არც იან კოლერმა დააკლო.

ძველი დროება გაიხსენა 35 წლის მარტინ მაქსმა — ეს ფორვარდი ისე აბობოქრდა, როგორც საუკეთესო წლებში „მიუნხენ 1860"-ში თამაშისას. „აინტრახტს" პრესტიჟის გოლი უნდა გაეტანა, მაგრამ 74-ე წუთზე ალბანელ ერვინ შკელას პენალტი მათიას შობერმა აუღო.

არანაკლებ იჩუბინა „შტუტგარტის" გოლკიპერმაც — ტომი ჰილდებრანდმა 85-ე წუთზე სლოვაკ იგორ დემოს არ დაანება 11-მეტრიანის გატანა. „გლადბახს" მანამდეც მართებდა გატანა, მაგრამ ფელიქს მაგათის დღე იყო.

დიდებული წარმოდგენა გამართა „ვოლფსბურგის" ახალმა არგენტინელმა ანდრეს დალესანდრომ — ის მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახლდათ, ხოლო მისმა თვისტომმა დიეგო კლიმოვიჩმა დუბლი გააზერხა — არ ჰყვარებიათ ლათინობიჭებს ცივი ჰამბურგი.

**დავით თავართქილაძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლევერკუზენი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 2 დორტმუნდი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:3 | 6 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 3 ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 0 | 1 |
| 4 ვერდერი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 |
| 5 შტუტგარტი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 |
| 6 ვოლფსბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:7 | 1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:3 | 5 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 7 შალკე | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 ჰანზა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 9 გლადბახი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 10 ჰანოვერი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | -1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 |
| 11 მიუნხენი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 12 ფრაიბურგი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | -3 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 |
| 13 ჰერტა | 3 | 0 | 2 | 1 | 0:3 | -3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 14 ბოხუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 15 ჰამბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:9 | -7 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | -4 | 1 |
| 16 ლაუტერნი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 17 კიოლნი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |
| 18 აინტრახტი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |

*„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ამოროზო (დორტმუნდი) | 4 |
| მაქსი (ჰანზა) | 4 |
| აილტონი (ვერდერი) | 3 |
| ჰამიტ ალტინტოპი (შალკე) | 3 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 3 |
| პიზარო (ბაიერნი) | 3 |

### IV ტური
**23 აგვისტო**

ჰანოვერი — ჰანზა
აინტრახტი — ჰერტა
ფრაიბურგი — გლადბახი
შტუტგარტი — ლაუტერნი
ვერდერი — შალკე
კიოლნი — დორტმუნდი
მიუნხენი — ვოლფსბურგი
ჰამბურგი — ბაიერნი
ბოხუმი — ლევერკუზენი

### მეორე ბუნდესლიგა
#### III ტური

**აუე 2:1 უნიონი**

0:1 ვიდოლოვი (22), 1:1 ჰაიდრიხი (32), 2:1 შუშანიძე (40)
აუე: რ. პეტკოვი, კრასელტი, ემერიხი, იენდროშეკი, გ. ბერგერი, გრუნდი (კურტი 65), მ. ჰაიდრიხი (გიორკე 71), რემი, ნური, იანკი (მ. კუნცე 74), შუშანიძე

**კარლსრუე 1:2 ობერჰაუზენი**

0:1 ველიჩკოვი (10), 0:2 ალიაი (29), 1:2 ტრარეხი (47)

**ლიუბეკი 0:2 უნტერჰახინგი**

0:1, 0:2 კოპადო (58, 90)

**არმინია 3:0 ალენი**

1:0, 2:0 ფ. ვატა (35, 40), 3:0 რადოვიჩი (84)

**ბურგჰაუზენი 4:1 ოსნაბრიუკი**

0:1 რაისინგერი (7), 2:0 ფრიუნზიხი (39), 2:1 გუშკინასი (51), 3:1 მატოშ-პერეირა (79), 4:1 მოხტარი (80)

**დუისბურგი 2:2 რეგენსბურგი**

1:0 მ. კურტი (13), 2:0 ვილმანი (28), 1:2 ბუტველკერი (76), 2:2 მ. კურტი (82)

**კოტბუსი 3:1 ალემანია**

1:0 ბლანკე (6ს.კ.), 2:0 თორდაჩე (62), 2:1 ბრინკმანი (64), 3:1 თორდაჩე (77)

**ფიურტი 4:2 ტრირი**

1:0 ტრაკისი (15), 2:0 რუმანი (32), 2:1 მ. კულერი (41), 3:1, 4:1 კუმერლე (54, 70), 4:2 პაჩინსკი (88)

**მაინცი — ნიურნბერგი**

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| ნიურნბერგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| კოტბუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ობერჰაუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ტრირი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:7 | 6 |
| რეგენსბურგი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ბურგჰაუზენი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| არმინია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| მაინცი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ფიურტი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| დუისბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| კარლსრუე | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| აუე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ალენი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ოსნაბრიუკი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ალემანია | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| ლიუბეკი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| უნიონი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-3 ტური: ბრაუნშვაიგი — ჰამბურგი (მ) 5:2; კიოლნი (მ) — პადერბორნი 0:1; ნოიმიუნსტერი — ესენი 0:3; მიუნსტერი — დორტმუნდი (მ) 0:2; ლაიპციგი — შალკე (მ) 0:2; იურდინგენი — კილი 3:3; ვატენშაიდი — ვუპერტალი 0:2; ვერდერი (მ) — ქემნიცი 0:0; ზანკტ პაული — დინამო 2:2

### სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-3 ტური: ელვერსბერგი — ჰოფენჰაიმი 2:4; ტრიერი? — ალენი 0:3; ოფენბახი — მაინცი (მ) 1:1; აუგსბურგი — ჰოფენჰაიმი 3:0; ეშბორნი — შტუტგარტი (მ) 0:2; კიკერსი — ერფურტი 2:0; ბაიერნი (მ) — ზაარბრიუკენი 1:1; კაიზერსლაუტერნი (მ) — ვეჰენი 1:2; ზიგენი — შვაინფურტი 4:1

# გერმანია. ბუნდესლიგა მესამე ტური

## შალკე 2:1 კიოლნი

ლევან კობიაშვილი: 90 წუთი

# არის ფორმა, არ არის ხარისხი

ლევან კობიაშვილმა „კიოლნთან" ნახევარდაცვაში ითამაშა და „კიკერისგან" 5 დაიმსახურა. თუმც ეს ყველაზე უარესი შეფასება არ გახლავთ — „შალკეს" ერთ-ერთმა მცველმა, ტომაშ ვალდოხმა 5,5 მიიღო. მაგრამ ისიცაა, რომ პატივცემული „კიკერის" შეფასებები მაინც სუბიექტურია.

„აუფშალკეზე" 61 ათასი კაცი მივიდა და უშეღავათო მატჩი იხილა. თუმც თამაშის ხარისხი სულაც არ იყო მაღალი.

პირველი ხიფათი კიოლნელებმა შექმნეს — კარსტენ კულმანმა ახლოდან თავური ააცილა „შალკეს" კარს. ამას მოჰყვა ორწუთიანი მონაკვეთი, როცა „კიოლნს" სამჯერ მართებდა გატანა და სამივეჯერ „ხუმარათა" მეკარე ფრანკ როსტმა იმარჯვა.

სხვათა შორის „კიკერმა" მატჩში ყველაზე მაღალი შეფასება სწორედ როსტს არგუნა — 2.

ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა იძალეს — ნიკო ვან კერჰოვენის ჩაწოდებულს ებე სანდი შეწვდა და ბურთი ვიქტორ აგალის მიუვიდა, რომელმაც ოთხი მეტრიდან გაიტანა.

დირკ ლოტნერმა ცოცხალ კედელს გადავლებული საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა და რამდენიმე წამის შემდეგ იოჰან ზაიცი და იორგ ჰაინრიხის გაწევ-გამოწევა მათი გაძევებით დასრულდა.

ორი გაფრთხილებისთვის გაგდებულ მარიუს ებერს კი ჩინებული საგოლე შანსი ჰქონდა, მაგრამ „შალკე" კვლავ როსტმა იხსნა.

ხოლო 93 წუთზე ჰამიტ ალტინტოპმა (მას „კიკერმა" 3 დაუწერა) კობიაშვილის პასით გამარჯვებისა შეაგდო — იუპ ჰანკესის ხელმძღვანელობით „ხუმარებმა" პირველად მოიგეს ბუნდესლიგაში.

„არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორ ვითამაშეთ. მთავარია, პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ. ჩემი ფეხბურთელები კარგ ფორმაში არიან. მათ იცოდნენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო „კიოლნის" დამარცხება და ამისთვის ცხოვლად იყვნენ შემართულნი" — უთქვამს ნამატჩევს ჰაინკესს.

**დავით თავართქილაძე**



„შალკეს" გამარჯვებისა ჰამიტ ალტინტოპმა ლევან კობიაშვილის პასით გაიტანა

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. IV ტური

პლზენი — სლავია 2:1; იაბლონეცი — სინოტი 1:0; ბანიკი — ბლშანი 5:2; პრჟიბრამი — სიგმა 1:1; ტეპლიცე — ოპავა 2:0; ზლინი — ლიბერეცი 0:0; ბრნო — ჟოჟკოვი 2:1; სპარტა — ბუდეიოვიცე :

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრნო | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 |
| ბანიკი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:4 | 10 |
| ტეპლიცე | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| სლავია | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 9 |
| ლიბერეცი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| სიგმა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ჟოჟკოვი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 6 |
| სპარტა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:1 | 5 |
| პრჟიბრამი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:3 | 5 |
| ზლინი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| პლზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| იაბლონეცი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| სინოტი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| ოპავა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:9 | 1 |
| ბუდეიოვიცე | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |
| ბლშანი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | 0 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. V ტური

პაშინგი — შტურმი 2:1; ადმირა — ზალცბურგი 4:0; მატერსბურგი — ბრეგენცი 3:2; რაპიდი — აუსტრია 2:2; გრაცერი — კერნტენი 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:5 | 13 |
| გრაცერი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:3 | 12 |
| მატერსბურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| აუსტრია | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 7 |
| ბრეგენცი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | 7 |
| პაშინგი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:9 | 6 |
| კერნტენი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:7 | 6 |
| ადმირა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:3 | 4 |
| შტურმი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | 1 |
| ზალცბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:12 | 0 |

### I დივიზიონი. VI ტური

ინტერვეტენი — კაპფენბერგი 0:2; ლეობენი — ლინცერი 4:1; ვიორგლი — აუსტრია (ლ) 1:1; რიდი — ბად ბლაიბერგი 0:0; ლუსტენუა — ტიროლი 2:2

რეკლამა სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# აქ რაღაც მოხდება

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XXI ტური

**დინამო 3:2 სპარტაკი**

1:0 კირიჩენკო (4), 2:0 ბულიკინი (17), 2:1 მოიზესი (67), ტიტოვი (82), 3:2 ხარლაჩოვი (88)

**როსტოვი 1:1 ლოკომოტივი**

0:1 მამინოვი (16), 1:1 ოსინოვი (77)

**ტორპედო-მეტალურგი 2:1 ცსკა**

1:0 მონარიოვი (20), 2:0 მოვსესიანი (70), 2:1 ტლისოვი (78)

**ჩერნომორეცი 0:1 სატურნი**

0:1 გორდიუკი (86ს.კ.)

**ზენიტი 1:2 შინიკი**

1:0 ნიკოლაევი (47), 1:1 კუშევი (69), 1:2 ხაზოვი (87)

**რუბინი 1:0 როტორი**

1:0 ჩალაძე (47)

**სპარტაკ-ალანია 1:1 კრილია**

1:0 სარქისიანი (49), 1:1 ბობერი (62)

**ურალანი 2:2 ტორპედო**

0:1 ვოლკოვი (34), 1:1 ბიბილაძე (64), 2:1 ლომბსი (69), 2:2 ვოლკოვი (80)



„დინამო" — „სპარტაკი". ხარლაჩოვის ამ დარტყმამ მასპინძლებს სამი ქულა მოუტანა

ჩემპიონატის დასრულებამდე ცხრა ტური დარჩა. აშკარაა — ცსკა-მ უკლო. მისმა მდევრებმა რომ მოუმატეს, სადავო არც ეს უნდა იყოს. რა მოხდება დარჩენილ ცხრა ტურში, სამკითხაოა, მაგრამ როცა ვალერი გაზაევი წყალწაღებულ „ტორპედო-მეტალურგთან" მარცხს მსაჯებს აბრალებს, ეს ნიშნავს, რომ გუნდში საქმეები აიწეწა. მთლად დალაგებული „ვარდარამდეც" არ იყო, მაგრამ მაკედონიელებთან მარცხმა არმიელებზე განსაკუთრებით იმოქმედა. აბა, „ტორპედო-მეტალურგის" ძლევა თუ არ შეუძლია, ჩემპიონობის მოცილეებს როგორ შეებრძოლება.

ამავდროულად მდევრები ქულას ქულაზე იხვეჭენ. რამენსკოეს „სატურნი" მთელი მატჩის განმავლობაში გოლის გატანს ცდილობდა და ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, სტუმრებს ფეხი გორდიუკმა მიაშველა, როცა შეხვედრის მიწურულს ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და „სატურნს" სამი ქულა გაატანა. ახლა რამენსკოელებსა და ცსკა-ს შორის ოთხქულიანი სხვაობაა, მაგრამ „სატურნს" თამაშით ნაკლები აქვს.

ყაზანის „რუბინში" პსჟ-ს ბრაზილიელი ფორვარდის ალოიზიოს დებიუტი შედგა და დაამტკიცა, რომ მასში ფული ტყუილად არ გადაუხდიათ. გამარჯვების გოლი კი ჩალაძემ მიითვალა და „რუბინმა" მესამე ადგილს უწია.

მოსკოვურ დერბიში „დინამომ" „სპარტაკი" დაჩაგრა. დაჩაგრულმა „სახალხო გუნდმა" გუშინწინ „ცრვენა ზვეზდას" სერბი ფორვარდი მიხაილო პიანოვიჩი შეიძინა და ეგებ მან უშველოს.

პირველივე ტაიმში ორბურთიანი სხვაობით დაწინაურებულმა „დინამომ" უპირატესობა ერთი საათის მანძილზე შეინარჩუნა, მერე კი მოიზესისა და ტიტოვის გოლებით ეს უპირატესობა გაქრა. მოსაგებად მოწადინებულ „სპარტაკს" შეხვედრის ბოლოს კონტრიერიში გაეპარა და ხარლაჩოვმა „სახალხო გუნდი" მთლად ხელმოცარული დატოვა.

ამოუცნობი „ზენიტის" ხუშტურები კვლავ გრძელდება. პეტერბურგელები შინ „შინიკთან" დამარცხდნენ და იაროსლაველელები ცხრილში თავზე დაისვეს. მეორე ტაიმში ნიკოლაევმა მასპინძლები დააწინაურა, მაგრამ სტუმრებს არ უხათრიათ და კუშევმა გაათანაბრა. მატჩის ბოლოს ხაზოვმა „ზენიტის" მცველთა მიძინებით ისარგებლა და გამარჯვების გოლი შეაგდო.

კვლავ ვერ მოიგო „სპარტაკ-ალანიამ", მაგრამ ვლადიკავკაზელთათვის ერთი ქულაც სასიხარულო გამხდარა. სარქისიანმა დამხვდურთა ქომაგები შესვენების შემდეგ მალევე გატანილი გოლით კი გაახარა, მაგრამ სამარელებმა იყოჩაღეს და ბობერის წყალობით ფრე გაახერხეს.

„ლოკომოტივს" რომ მოეგო, ცხრილში საგრძნობლად დაწინაურდებოდა, მაგრამ მომავალ კვირას „შახტართან" სათამაშოდ მზადების პროცესში მყოფმა რკინიგზელებმა არ გარისკეს და ქულას დასჯერდნენ, თუმც კი მეთხუთმეტე წუთიდან მამინოვის გოლით იგებდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 22 | 13 | 5 | 4 | 42:25 | 44 |
| სატურნი | 21 | 11 | 7 | 3 | 29:17 | 40 |
| რუბინი | 21 | 10 | 7 | 4 | 29:17 | 37 |
| დინამო | 21 | 10 | 6 | 5 | 36:23 | 36 |
| შინიკი | 21 | 9 | 9 | 3 | 30:18 | 36 |
| ზენიტი | 21 | 10 | 5 | 6 | 28:26 | 35 |
| კრილია | 21 | 8 | 9 | 4 | 28:18 | 33 |
| ლოკომოტივი | 22 | 9 | 6 | 7 | 33:28 | 33 |
| ტორპედო | 21 | 7 | 7 | 7 | 27:26 | 28 |
| როსტოვი | 21 | 6 | 8 | 7 | 22:29 | 26 |
| სპარტაკი | 21 | 7 | 4 | 10 | 31:37 | 25 |
| ურალანი | 21 | 4 | 8 | 9 | 15:28 | 20 |
| როტორი | 21 | 5 | 4 | 12 | 24:32 | 19 |
| ჩერნომორეცი | 21 | 4 | 6 | 11 | 20:31 | 18 |
| ტ. მეტალურგი | 21 | 3 | 5 | 13 | 14:28 | 14 |
| ალანია | 21 | 4 | 2 | 15 | 12:37 | 14 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XVIII ტური

ენკოპინგი — ჰალმსტადი 0:4; ლანდსკრონა — იორგრიტე 1:1; სუნდსვალი — ელფსბორგი 1:1; აიკ — ოისტერი 1:1; მალმიო — ჰამარბი 6:0; იორებრო — ჰელსინგბორგი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 17 | 12 | 1 | 4 | 39:14 | 37 |
| ჰამარბი | 18 | 10 | 4 | 4 | 29:22 | 34 |
| ჰალმსტადი | 18 | 10 | 3 | 5 | 33:19 | 33 |
| მალმიო | 18 | 9 | 5 | 4 | 36:16 | 32 |
| იორგრიტე | 18 | 8 | 3 | 7 | 27:30 | 27 |
| აიკ | 18 | 7 | 5 | 6 | 26:23 | 26 |
| გიოტებორგი | 17 | 7 | 4 | 6 | 23:15 | 25 |
| იორებრო | 18 | 7 | 4 | 7 | 21:25 | 25 |
| ჰელსინგბორგი | 18 | 7 | 3 | 8 | 17:27 | 24 |
| ლანდსკრონა | 18 | 5 | 7 | 6 | 17:22 | 22 |
| ელფსბორგი | 18 | 5 | 6 | 7 | 18:25 | 21 |
| სუნდსვალი | 18 | 2 | 8 | 8 | 16:28 | 14 |
| ოისტერი | 18 | 3 | 5 | 10 | 16:30 | 14 |
| ენკოპინგი | 18 | 2 | 4 | 12 | 17:39 | 10 |

### სუპერეტა. XX ტური

ვესტეროსი — ბოდენსი 5:3; ბრომაპოიკარნა — მჯვენი 0:3; ნორჩოპინგი — იფკ მალმიო 4:1; ფალკენბერგი — ასირსკა 2:1; გეფლე — ატვიდაბერგი 0:1; ტრელებორგი — კაფე ოპერა 2:2; ფრიოლუნდა — კალმარი 0:1

## აშშ

### MLS. XIX ტური

ნიუ ინგლენდი — სან ხოსე 1:1; ჩიკაგო — ვაშინგტონი 3:1; კოლორადო — კოლუმბუსი 2:1; დალასი — კანზასი 3:2; ლოს ანჯელესი — ნიუ იორკი 1:1

## დანია

### სუპერლიგა. III ტური

ორჰუსი — მიდტიულანდი 5:3; აკადემისკი — ესბიერგი 2:4; ფრემი — ჰერფიოლგე 1:0; ოდენსე — ოლბორგი 0:0; ვიბორგი — ბრონდბიუ 2:2; კოპენჰაგენი — ნორდსიელანდი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| ესბიერგი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| მიდტიულანდი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| ოდენსე | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| კოპენჰაგენი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ფრემი | 4 | 2 | 0 | 2 | 2:4 | 6 |
| ნორდსიელანდი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| ოლბორგი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| ორჰუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | 4 |
| ვიბორგი | 4 | 0 | 3 | 1 | 5:6 | 3 |
| ჰერფიოლგე | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 3 |
| აკადემისკი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:10 | 1 |

### I დივიზიონი. III ტური

ბ-1913 — ფრემადი 2:2; სკოვლდი — ნორდიულანდი 0:1; ფრედერიკა — რანდერსი 2:2; კიოგე — ნაკსოპინგი 4:2; ოლსტიკე — ბ-93 5:4; ჰორსენსი — ფკ ორჰუსი 3:0; სილკებორგი — ვაილე 1:2; სონდერიულანდი — ბრიონშჰოი 4:0

## სლოვენია

### სი მობილ ლიგა. V ტური

პრიმორიე — დრავოგრადი 2:2; დრავა — მურა 2:3; შმარტნო — მარიბორი 0:0; ლიუბლიანა — დომჟალე 3:0; კოპერი — პუბლიკუმი 0:0; ოლიმპია — ნოვა გორიცა 0:0

## თურქეთი

### სუპერლიგა. II ტური

ელაზიგი — კონია 0:0; დიარბაქირი — გენჩლერი 3:2; მალათია — სებათი 3:1; გაზიანთეფი — გალათასარაი 1:2; ისთანბული — ადანა 1:0; დენიზლი — რიზე 1:1; ანკარაგიუჯიუ — სამსუნი 4:2; ბეშიქთაში — ბურსა 1:0; ტრაბზონი — ფენერბაჩე 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისთანბული | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ბეშიქთაში | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| მალათია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| გალათასარაი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| დენიზლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ელაზიგსპორი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| რიზე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ანკარაგიუჯიუ | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| დიარბაქირი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ფენერბაჩე | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| კონია | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ტრაბზონი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| გაზიანთეფი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბურსა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| გენჩლერი | 2 | 0 | 0 | 2 | 4:6 | 0 |
| ადანა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| სამსუნი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |
| სებათი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

## ირლანდია

### პრემიერდივიზიონი გადადებული მატჩი

კორკ სიტი — შემროკ როვერსი 1:0

# დანდის დარდი: არ შედის და რა ქნა?!

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. II ტური

**აბერდინი 2:3 რეინჯერსი**

1:0 ზდრილიჩი (24), 1:1 დე ბური (38), 1:2 არტეტა (43), 1:3 მოლსი (58), 2:3 დელომი (90)

**რეინჯერსი:** შ. კლოსი, რიკსენი, ბერგი (მალკოლმი 75), ხიზანიშვილი, ბოლი, არტეტა, ბ. ფერგიუსონი, ნერლინგერი, ლოვენკრანდსი (ა. ტომპსონი 34), მოლსი, რ. დე ბური (ვანოლი 55)

*შოთა არველაძე ტრავმირებულია*

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

16 348 მაყურებელი

**დანდი 0:2 დანფერმლაინი**

0:1 უილკი (45ხ.კ.), 0:2 კროუფორდი (88)

**დანდი:** სპერონი, მაირი, უილკი, სანზო (კაბალიერო 66), ერნანდესი, სმიტი, ნემსაძე, რაე, ბრედი, ნოვო (კარანცა 77), ლოველი

გაფრთხილება: ნემსაძე

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

7 750 მაყურებელი

**ჰიბერნიანი 1:0 ჰართსი**

1:0 ოკონორი (90)

**სელტიკი 5:0 დანდი იუნ.**

1:0 მელოუნი (12), 2:0 აგატი (27), 3:0 ს. ტომპსონი (45პ), 4:0 მაკნამარა (67), 5:0 ლარსონი (84)

**კილმარნოკი 2:1 პარტიკი**

0:1 გრეიდი (39), 1:1 პარდი (46), 2:1 ბოიდი (60)

**ლივინგსტონი 1:0 მოზერუელი**

1:0 ლილეი (78)

შოტლანდიური პრემიერლიგის მეორე ტურმა ჩვეულებრივად ჩაიარა — „სელტიკმაც" მოიგო და „რეინჯერსმაც".

თუმც „რეინჯერსმა" აბერდინში ინერვიულა. „ჩაფრები" ერთობ შებოჭილნი ჩანდნენ მატჩის დასაწყისში. იყო გაწევ-გამოწევაც, მაგრამ ზურაბ ხიზანიშვილი ასეთ „გაუგებრობებში" არ მოჰყოლია. ფერნანდო რიკსენს კი ერთი აბერდინელი ფანი ჩაუხტა მინდორზე, მაგრამ მან რეინჯერსელამდე ვერ მიაღწია — დააკავეს.

მასპინძელთაგან კარგი თამაშით გამოირჩა ავსტრალიელი შემტევი დევიდ ზრდილიჩი. თუმც მისი გოლის შემდეგ „რეინჯერსი" გონს მოეგო და თამაში მყის შემოატრიალა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კი „ჩაფრები" სრულად დაეპატრონენ სადავეებს და მიხაელ მოლსის გოლმაც ყველაფერი გადაწყვიტა.

არ გაუმართლა გიორგი ნემსაძის „დანდის", რომელმაც არწასაგები მატჩი წააგო. დანდელთაგან საუკეთესონი ნემსაძე და ნაჩო ნოვო იყვნენ, მაგრამ გოლი არა და არ გადიოდა „დანფერმლაინის" კარში.

„დანდი" არც ლი ვილკის ავტოგოლმა გატეხა, მაგრამ გოლის გამტანი კაცი ჯიმ დაფის გუნდში არ აღმოჩნდა. ერთხელ ნემსაძესაც მართებდა მეტოქის კარის დალაშქვრა, თუმც ბურთი მეკარეს გაარტყა.

შოტლანდიის ეროვნული ნაკრების ფორვარდ სტივ კროუფორდს კი პირველი საგოლე შანსი 88-ე წუთზე მიეცა და გამოიყენა კიდეც.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| ჰიბერნიანი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| სელტიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:0 | 4 |
| დანფერმლაინი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ლივინგსტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| დანდი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ჰართსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| კილმარნოკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| პარტიკ თისლი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| აბერდინი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| მოზერუელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| დანდი იუნაიტედი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

### I დივიზიონი

მე-2 ტური: ეარი — ფოლკირკი 1:1; ბრეჩინი — რეითი 0:3; ინვერნესი — კლაიდი 0:0; ქუინი — როსი 1:0; სენტ მირენი — სენტ ჯონსტონი 1:1

### II დივიზიონი

მე-2 ტური: ერდრი — ალოა 1:0; ბერვიკი — ჰამილტონი 3:1; დამბარტონი — არბროთი 1:1; ფორფარი — ისტ ფაიფი 0:1; სტენჰაუზმური — მორტონი 0:2

### III დივიზიონი

მე-2 ტური: კოუდენბითი — ალბიონი 1:4; ისტ სტირლინგი — მონტროუზი 1:1; პიტერჰედი — გრეტნა 2:0; ქუინზ პარკი — ელგინი 5:2; სტრანრარი — სტირლინგი 0:1



„სელტიკი" — „დანდი იუნაიტედი". ლიამ მილერმა და კოლინ სამუელმა ბურთი ჰაერშიც ვერ გაიყვეს



ლანსელმა უტკამ „მარსელსაც" უტკა

# კლოდ პუელი გაფრთხილებთ არაფერი შეგეშალოთ!

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი

### III ტური

**ლანსი 2:1 მარსელი**

0:1 დროგბა (11), 1:1 პ.ბ. დიოპი (21), 2:1 ტომერი (90)

**ოსერი 3:2 სტრასბური**

1:0 აკალე (10), 1:1 ლიუბოია (42), 2:1 კალუ (32), 3:1 მატისი (87), 3:2 მულუნგი (89)

**მონპელიე 0:2 ლიონი**

0:1 კასაპა (11), 0:2 კარიერი (26)

**აიაჩო 1:3 ნანტი**

0:1 და როშა (23), 0:2 არმანი (43), 0:3 გაპუიოლი (51), 1:3 ბაგაიოკო (88)

**გენგამი 1:3 ბორდო**

0:1 დეივიდი (6), 1:1 გუსე (23), 1:2, 1:3 დარშევილი (32, 53)

**ლე მანი 1:1 ნიცა**

1:0 დამიკო (22), 1:1 ევერსონი (43)

**მეცი 0:1 პსჟ**

0:1 ჟ. ლერუა (65)

**მონაკო 2:0 ბასტია**

1:0 ადებაიორი (38), 2:0 ზიკოსი (45)

**სოშო 1:1 რენი**

1:0 ს. დიავარა (57), 1:1 ა. ფრეი (80)

**ტულუზი 0:3 ლილი**

0:1, 0:2 მანჩევი (38, 65), 0:3 ბრუნელი (71)

„ჩვენ ჩემპიონატის კი არა, მხოლოდ სეზონის დასაწყისის სენსაცია შეიძლება გვიწოდონ" — თქვა ტულუზში გამარჯვების შემდეგ „ლილის" მწვრთნელმა კლოდ პუელმა.

ზედიზედ სამი მოგებული მატჩი, ხუთი გატანილი და არც ერთი გაშვებული გოლი — აი, პუელის შეგირდთა მონაგარი.

დაახლოებით იგივე ხდებოდა შარშან, როცა ლაჟვარდოვანმა „ნიცამ" საფრანგეთი გააოცა. მაშინაც ასევე ბჭობდა ნიცელთა მწვრთნელი ჟერნო რორი, სირთულეები წინ გველის, ჩვენი პირველი ადგილი დროებითიაო.

ამ ორ გუნდს შორის განსხვავება მაინც არის. ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის ხელში აყვავებულ „ლილს" ჩემპიონთა ლიგის გამოცდილებაც აქვს და მათი ლიდერობა გასაკვირი არ უნდა იყოს.

„ტულუზის" კარში პირველი გოლი შესვენებამდე გავიდა. ბულგარელმა ვლადიმირ მანჩევმა სტუმრები დააწინაურა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი მიზანს კვლავ მანჩევის თავურმა მიაღწია. მესამე ფილიპ ბრუნელმა მიითვალა, რომელმაც მცველის შეცდომით იხეირა და ანგარიშს სოლიდური სახე მისცა.

პირველი გამარჯვებები იზეიმეს „ოსერმა", „ბორდომ" და პსჟ-მ. ბურგუნდიელებმა „სტრასბურს" მალევე გაუტანეს. კანგა გაუტიერ აკალემ მეთერთმეტე წუთზევე შეაგდო, რასაც ახალწვეული ბუნავენტურე კალუს გოლი მოჰყვა. კალუმ ოთხი მცველი გამოაქანდაკა და ბურთი ვინსენ ფერნანდესის კარის კუთხეში შეაძვრინა.

სტრასბურელთა საპასუხო გოლის თანაავტორიც კალუ შეიქნა, რომლის შეცდომასაც დანიელ მორეირას ზუსტი დარტყმა მოჰყვა. შეხვედრის მიწურულს „სტრასბური" გააფთრებით უტევდა, მაგრამ მეტოქის იერიში გაეპარა და სტუმართა მეკარე იძულებული იყო, მასპინძელთა შეტევა წითელი ბარათის საფასურად ჩაეშალა. გაძევებული მეკარის ნაცვლად კარში ვაცლავ დრობნი ჩადგა და ექვს წუთში ლიონელ მატისისგან გოლი გაუშვა.

სტრასბურელთა მეორე გოლის ავტორი 19 წლის გაბონელი ფორვარდი ერიკ მულუნგუა, რომელმაც ფაბიენ კოლს ჰაერში აჯობა და სხვაობა შეამცირა.

პირველი გოლი მიითვალა „ბორდოს" ახალწვეულმა ბრაზილიელმა ფორვარდმა დეივიდმა, ორი კი ჟან კლოდ დარშევილმა. დეივიდმა დარშევილის პასით იხეირა, რასაც ნიკოლა გუსეს საპასუხო მოჰყვა, მაგრამ „ბორდოს" ფორვარდმა პირველი ტაიმის ბოლოს და მეორის დასაწყისში დუბლი მიითვალა და ჟირონდელებს სამი ქულა მოუტანა.

ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი დროებით თუ დააწყნარებს კრიტიკოსებს, რადგან „მეცის" ძლევა კრძალვა გოლით პარიზელ გულშემატკივრებს დიდად არ ეამებათ.

წინა ტურში „ლიონთან" დამარცხებულმა „მონაკომ" ჯავრი მისავათებულ „ბასტიაზე" იყარა. ემანუელ ადებაიორსა და ანდრეას ვასილის ზიკოსის გოლებით დაამარცხა კუნძულელები, რომლებმაც მეტოქის კარში ბურთი ერთხელაც ვერ დაუმიზნეს. ქვეყნის ჩემპიონმა სტუმრად „მონპელიესთან" დამაჯერებლად მოიგო. ლიონელები პირველ ტაიმში კასაპასა და კარიერის გოლებით დაწინაურდნენ და შესვენების შემდეგ საქმე ბოლომდე მშვიდად მიიყვანეს.

სულეიმან დიავარას გოლით მეორე ტაიმში დაწინაურებულ „სოშოს" სამ ქულა თითქოს ჯიბეში მოეყუჩებინა, მაგრამ მიქაელ პაგისმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და „რენს" ქულა აჩუქა.

ზედიზედ მოქუჩებული ექვსი ქულა „აიაჩოს" ცხვირში „ნანტმა" ამოადინა. ნანტელები კუნძულელებს ეწვივნენ და პირველ ტაიმშივე მოახრჩვეს. „აიაჩო" არ შერცხვა და მამადუ ბაგაიოკოს გოლით სხვაობა ოდნავ მოაფერიანა.

„მარსელის" სვლა ლანსში დაამუხრუჭეს. „ფელიქს ბოლერზე" შეკრებილმა 40 ათასმა ქომაგმა გამარჯვება იზეიმა. სტუმრები ახალწვეული დიდიე დროგბას ზუსტი დარტყმით დაწინაურდნენ, მაგრამ პაპე ბუბა დიოპა მალევე გაქვითა. გამარჯვებასა კი შეცვლაზე შესულმა ოლივიე ტომერმა შეაგდო, რომელმაც საჯარიმოს გარედან დაარტყა და ვედრან სუნიეს გაუტანა.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| ნიცა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ნანტი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| ლიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| მონაკო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| მარსელი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| აიაჩო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| რენი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| სტრასბური | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| სოშო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| პსჟ | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ლანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| მონპელიე | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| მეცი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 3 |
| ოსერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ბორდო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ლე მანი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ტულუზი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| ბასტია | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| გენგამი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

### მეორე დივიზიონი

### III ტური

სენტ ეტიენი — ლორიანი 2:1; ანჟერი — სედანი 0:0; შატორუ — ნანსი 0:0; კლერმონი — ტრუა 0:0; გრენობლი — რუანი 0:0; ისტრი — კაენი 3:1; გენიონი — ამიენი 0:1; ლავალი — ბეზანსონი 1:3; ლე ავრი — კრეტეი 1:1; ნიორი — ვალანსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტრი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ამიენი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 9 |
| ნიორი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ვალანსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 6 |
| სენტ ეტიენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ტრუა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| კლერმონი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ლორიანი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ბესანსონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| შატორუ | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| რუანი | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 3 |
| გრენობლი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| გენიონი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ნანსი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 |
| ლე ავრი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| სედანი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| კრეტეი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| კაენი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |
| ლავალი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ანჟე | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 |

# ბერლუსკონიმ სან სირო დატოვა



ალესანდრო დელ პიერო მასიმო ამბროზინიმ
ცოცხალი თავით ბურთთან არ მიუშვა



კაკამ „მილანი" ნახა, მილანმა კაკა

**ლუიჯი ბერლუსკონის თასი**

**მილანი 0:2 იუვენტუსი**

0:1 დელ პიერო (40), 0:2 კამორანეზი (45)
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, როკე ჟუნიორი, პანკარო, ამბროზინი, პირლო (რედონდო 77), ზეედორფი, რუი კოშტა (ბროკი 77), შევჩენკო (ბორიელო 77), ინძაგი (ტომასონი 63)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი (ბირინდელი 62), ლეგროტალიე, მონტერო, ძამბროტა, ტაკინარდი, აპია (ტუდორი 85), კამორანეზი (დავიდსი 72), ნედვედი, დელ პიერო (მიკოლი 62), ტრეზეგე (დი ვაიო 62)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
მსაჯი: ტრენტალონი
50 000 მაყურებელი

ალესანდრო დელ პიეროს და მაურო კამორანეზის გოლებით „იუვენტუსმა" „მილანს" 2:0 მოუგო და ყოველწლიური, სეზონისწინა დაპირისპირება თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა — ბერლუსკონის თასი „ბებერ ქალბატონს" ერგო.

ეს მატჩი, როგორც წესი „სან სიროზე" იმართება, ოღონდ მეტოქეები ყოველ წელიწადს ჩემპიონთა ლიგის მოგებული და წაგებული ფინალისტების რანგში არ ეჯახებიან ერთმანეთს. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ ტურინელთა გამარჯვება ერთგვარი შურისძიებაც გახლდათ, თუმცა სად ბერლუსკონის თასი და სად ლიგა!

შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები ერთმანეთს იტალიის სუპერთასზეც შეხვდნენ ნიუ იორკში, სადაც საქმე პენალტებზე მიდგა და იქაც, პენალტებში, „ბებერმა ქალბატონმა" ივარგა.

ბერლუსკონის თასზე „იუვენტუსის" შემადგენლობაში ითამაშა ტურინელთა გუნდის ახალშენაძენმა სტეფან აპიამ, რომელიც ჰოლანდიელი ედგარ დავიდსის საქმეს ასრულებს და ანგარიშის გახსნაში ითამაშა კიდეც როლი — კარგი პასით გახლიჩა „მილანის" დაცვა და დელ პიეროს გოლის გატანის შესაძლებლობა მისცა.

ეს ამბავი მე-40 წუთზე მოხდა, სულ ცოტა ხანში კი კამორანეზიმ მეორე შეაგდო — მას მომენტი დავიდ ტრეზეგესა და პაველ ნედვედის მარცხენა ფრთაზე გათამაშებულმა კომბინაციამ შეუქმნა.

„მილანის" უმჯობესი მომენტები კლარენს ზეედორფს ჰქონდა. ჯერ, შორიდან დარტყმული ბუფონმა აუღო, ბოლოს კი საჯარიმოდან ძელს გაარტყა ბურთი.

ტრიბუნიდან თამაშს თვალს ადევნებდა „მილანის" პრეზიდენტი (და იტალიის პრემიერ-მინისტრი) სილვიო ბერლუსკონი, რომელსაც გუნდის მომავალი ფეხბურთელი, ბრაზილიელი კაკა ეჯდა გვერდით.

ცნობისთვის: ბერლუსკონის თასი, „მილანისა" და „იუვენტუსის" ყოველწლიურ შეხვედრას, სილვიო ბერლუსკონის მამის, ლუიჯის საპატივცემულოდ ჰქვია.

**ბაბუნა ძიძია**

# ჩვეულებრივი რეალი

**დევიდ ბექჰემის** დებიუტი საკუთრივ ესპანეთში, შორეულ აღმოსავლეთთან შედარებით, უსახური გამოდგა — „რეალმა" „ვალენსიასთან" ფრედ, 0:0 ითამაშა. შემდეგ, გუნდებმა პენალტები დაარტყეს, რომელთა წყალობით გამარჯვება და „ნარინჯისფერი ჯილდო" მადრიდელებს ერგოთ, მაგრამ ჩემპიონთა პორტუგალიელმა მწვრთნელმა, კარლუშ კეიროშმა, ალბათ, რაღაცეები ჩაინიშნა კიდეც. უპირველეს ყოვლისა თვალშისაცემი გახლდათ ის, რომ ვარსკვლავებით დახუნძლულმა „სამეფო გუნდმა" საშუალო ნიჭით დაჯილდოვებულთაგან შეკრული ანსამბლივით ითამაშა.

ბექჰემით დავიწყეთ და ბექჰემითვე განვაგრძოთ — ინგლისის ნაკრების კაპიტანი, ისევე როგორც ზიდანი, ფიგუ და რონალდო, „ვალენსიასთან" შეხვედრაში მოედანზე გახლდათ, მაგრამ მესამოცე წუთამდე და კაპიკის საღირალი საქმე არ გაუკეთებია.

„ვალენსიელთაგან" ყველაზე საამო არგენტინელი გამთამაშებლის, პაბლო აიმარის ცქერა იყო, მისი სახელოვანი მეტოქე და ამპლუის მიხედვით კოლეგა, ზიდანი კი დიდით ვერაფრით გამოირჩა.

მიმომხილველთა აზრით, „რეალს" ყველაზე დიდი პრობლემა ნახევარდაცვაში ჰქონდა. რაც, შესაძლოა, კლოდ მაკელელეს არყოფნით გახლდათ გამოწვეული.

გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდა რიკარდო ოლივეირას — სხვათა შორის, უკვე მეხუთე წუთზე — და საერთოდაც, მასპინძლებმა მეკარე იკერ კასილიასს გარკვეული პრობლემები შეუქმნეს. ხოლო მადრიდელთა პირველი შეტევა მე-20 წუთზეღა ჩატარდა და მასში ზიდანმა და ფიგუმ მიიღეს მონაწილეობა.

კასილიასმა საგანგებოდ 25-ე წუთზე გამოიჩინა თავი, როდესაც აიმარისა და ვისენტეს ზედიზედ ორი დარტყმული მოიგერია, გადალმა კართან კი რონალდომ შექმნა მწვავე მომენტი ერთობ უზუსტო დარტყმით.

**ბაბუნა ძიძია**

## მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი (ფინეთში)

**C ჯგუფი. II ტური**

პორტუგალია — ბრაზილია 0:6; იემენი — კამერუნი 1:1

| | | | | | | |
